ეკა დალაქიშვილი

„მშენებლობაზე შრომის უსაფრთხოების სამართლებრივი მოწესრიგება და მასთან დაკავშირებული პრობლემები“

წარმოდგენილია სამართლის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი
თბილისი, 0178, საქართველო
2019 წელი

საავტორო უფლება © 2019 წელი, ეკა დალაქიშვილი

აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი

იურიდიული ფაკულტეტი

ვადასტურებ, რომ გავეცანი ეკა დალაქიშვილის მიერ შესრულებულ სამაგისტრო ნაშრომს დასახელებით: „მშენებლობაზე შრომის უსაფრთხოების სამართლებრივი მოწესრიგება და მასთან დაკავშირებული პრობლემები“ და ვაძლევთ რეკომენდაციას აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დასკვნითი გამოცდის/სამაგისტრო ნაშრომის დაცვის სპეციალური კომისიაში მის განხილვას სამართლის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად თარიღი

ხელმძღვანელი: გია ლილუაშვილი

_____

თარიღი:

რეზიუმე

ყველა სამართლებრივი სისტემისთვის უმთავრესია ადამიანის სიცოცხლის და ჯანმრთელობის დაცვა, რადგან საყოველთაოდ ცნობილია, რომ ადამიანის სიცოცხლე ყველაზე დიდი სამართლებრივი სიკეთეა. აუცილებელია მის დასაცავად სახელმწიფომ მიიღოს ყველა საჭირო ზომა. ასევე აღიარებულია ადამიანის შრომის უფლება, რაც თავის მხრივ მოიცავს უსაფრთხო გარემოში შრომის უფლებას.

თანამედროვე სამყაროში დასაქმებულის უფლებების დაცვას განსაკუთრებული დანიშნულება აქვს, რადგან ეს ხელს უწყობს ქვეყანაში ადამიანის უფლებების დაცვის დონის განსაზღვრას, რაც მნიშვნელოვან გავლენას ახდენს სახელმწიფოს დემოკრატიულობასა და სამართლიანობაზე.[1]

შრომის უსაფრთხოების სტანდარტების დაცვა და გაუმჯობესება, მათ შორის დაკავშირებული მშენებლობებთან, მნიშვნელოვან საკითხს წარმოადგენს დემოკრატიული და სამართლიანი სახელმწიფოებისათვის. განსაკუთრებით განვითარებად სახელმწიფოებში, მათ შორის საქართველოში, სადაც ჯერ კიდევ არ არის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად დარეგულირებული ეს საკითხი. საჭიროა შრომის უსაფრთხოების რეგულორებასთან დაკავშირებით, ქვეყანაში არსებულ პრობლემებზე მსჯელობა, განხილვა, გადაჭრის გზების მოძიება და მათი განხორციელება.

[1] ეკატერინე ქარდავა.დასაქმებულთა უფლებები.საქართველოს სტრატეგიული განვითარებისა და კვლევების ცენტრი. 2018

Resume

სტრუქტურა

1. შესავალი

2. შრომის უსაფრთხოების სტანდარტები სამშენებლო სამართალში

   2.1 შრომის სტანდარტების განვითარების ეტაპები საქართველოში
   2.2 მხარეთა უფლება-მოვალეობები შრომის სამართალში
   2.3 სამშენებლო სამართლის ზოგადი მიმოხილვა

3. მშენებლობაზე შრომის უსაფრთხოების საერთაშორისო სტანტარტები

   3.1 შრომის საერთაშორისო ორგანიზაცია/ILO (კონვენციები)
   3.2 ევროკავშირი/European Union (ევროკავშირის შრომის დირექტივები)
   3.3 სოციალური დიალოგის მნიშვნელობა და ევროპულ სტანდარტებთან შესაბამისობა

4. მაკონტროლებელი ორგანოები და ზედამხედველობის განხორციელება

   4.1 ზედამხედველობის სამსახურები და მათი უფლებამოსილება
      4.1.1 ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სსიპ ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტო.
      4.1.2 ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ინსპექცია
      4.1.3 საჯარო სამართლის იურიდიული პირი – ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტო.

   4.2 მშენებლობაზე შრომის უსაფრთხოების წესების დარღვევის გამო პასუხისმგებლობა

5. დასკვნა

6. ბიბლიოგრაფია

შესავალი

შრომის სამართალი (როგორც სამართლის დარგი) წარმოიშვა დასაქმებულის სპეციალური მდგომარეობიდან და დაცვის საჭიროებიდან გამომდინარე. სასამართლოს განმარტებით, შრომით ურთიერთობაში აშკარად გამოკვეთილია დამსაქმებლის უპირატესი მდგომარეობა „სუსტ“ მხარესთან – დასაქმებულთან შედარებით, რაც უდავოდ იწვევს „ძლიერი“ მხარის მიერ თავისი უფლებების გადამეტებულად, მეორე მხარის საზიანოდ გამოყენების საშიშროებას. სწორედ ამგვარ „უთანასწორობაში“ ბალანსის აღდგენასემსახურება შრომის სამართალი. [2]

შრომის უფლება ადამიანის ფუნდამენტური უფლებაა და მას არაერთი საერთაშორისო დოკუმენტი იცავს. ადამიანის უფლებათა კონცეფციის თანამედროვე გააზრება მას ადამიანის პიროვნული თავისუფლების, თვითრეალიზაციის, განვითარების კონტექსტში განიხილავს. შრომის უფლების დაცვა სახელმწიფომ ამ მიზანთან თანმხვედრი კანონმდებლობის და პოლიტიკის დანერგვით უნდა უზრუნველყოს.

დასაქმების ეფექტური პოლიტიკა ადამიანის სხვა უფლებების რეალიზების გარანტიას ქმნის და ფუნდამენტად ედება პიროვნების თავისუფალი განვითარების, კეთილდღეობის ზრდის, უსაფრთხოებისა და ღირსეული ცხოვრების პირობების შექმნას. მხოლოდ ღირსეული შრომის გარემოშია შესაძლებელი სოციალურ-ეკონომიკური პოლიტიკის ამოცანების რეალიზება და მდგრადი განვითარება. [3]

მხოლოდ ღირსეული შრომის გარემოშია შესაძლებელი სოციალურ-ეკონომიკური პოლიტიკის რეალიზება. თანასწორობის უზრუნველყოფა და საზოგადოების ჰარმონიული განვითარება, სტაბილურობა და მდგრადობა. ქალის როლის გაძლიერება და დემოგრაფიული პრობლემების გადაჭრა, სოციალური უსაფრთხოება და სოციალური სამართლიანობა. ამიტომაც თანამედროვე დემოკრატიული სახელმწიფოების ზრუნვისა და ინტერესის საგანია დასაქმებულთა უფლებების დასაცავად სათანადო პირობების შექმნა. ამავდროულად, ისეთი სამართლებრივი რეგულირების მოდელების შემუშავება, რაც ბალანსირებულად უზრუნველყოფს თავისუფალი მეწარმეობის განვითარებას და ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობის უსაფრთხოებას. [4]

საქართველოში შრომის უსაფრთხოების საკითხი განსაკუთრებით აქტუალურია სამშენებლო სამართალში. სტატისტიკურად დასაქმებულთა ჯანმრთელობის

---

[2] საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2010 წლის 28 აპრილის განჩინება საქმეზე Nას-864-1150-09

[3] ეკატერინე ქარდავა.დასაქმებულთა უფლებები.საქართველოს სტრატეგიული განვითარებისა და კვლევების ცენტრი. 2018

[4] ეკატერინე ქარდავა.დასაქმებულთა უფლებები.საქართველოს სტრატეგიული განვითარებისა და კვლევების ცენტრი. 2018

დაზიანება და სიცოცხლის მოსპობა მშენებლობებზე, ყველაზე ხშირად სწორედ შრომის უსაფრთხოების წესების დარღვევის გამო ხდება.
შესაბამისად ამ კვლევის მიზანი არის შრომის უსაფრთხოების სტანდარტების შესწავლა, კონკრეტულად მშენებლობებთან დაკავშირებით, რომლებიც საჭიროებს გაუმჯობესებას, მონიტორინგს და დამატებით სიღრმისეულ შესწავლას. პრობლემური საკითხების შესახებ რეკომენდაციების შემუშავება, რომელთა გათვალისწინება ხელს შეუწყობს დასაქმებულის უფლებების დაცვის პოლიტიკის განვითარებას.

სამშენებლო წესრიგის სამართალი არის საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის სამართლის შემადგენელი ნაწილი, რომელიც მიმართულია სამშენებლო საქმიანობით გამოწვეული სპეციფიკური საფრთხის თავიდან აცილებისკენ. საქმე შეეხება სამართლის სფეროს, რომელიც უკავშირდება მშენებლობის დარგში საზოგადოებრივი წესრიგისა და უსაფრთხოების სამართლის დაცვას, გამდიდრებულს დამატებით სოციალურ-პოლიტიკური, სამშენებლო, ენერგეტიკული და ეკოლოგიური ხასიათის მიზანდასახულობით. სამშენებლო წესრიგის სამართალი თავის თავში მოიცავს მშენებლობის ნებართვის გაცემისა და სამშენებლო ზედამხედველობის პროცედურებს. [5]

სამაგისტრო ნაშრომის კვლევისას გამოყენებული იქნება ანალიტიკური კვლევის მეთოდი, ასევე ისტორიული, რომელიც შესაძლებლობას მოგვცემს ვნახოთ თუ როგორ ვითარდებოდა ამ საკითხების მოწესრიგება საქართველოში. გამოყენებული იქნება ასევე შედარებით-სამართლებრივი მეთოდი, რაც არის ყველაზე მნიშვნელოვანი, რადგან ეს მეთოდი საშუალებას მოგვცემს, ვნახოთ, თუ, როგორ არის მოწესრიგებული მშენებლობებზე შრომის უსაფრთხოების სტადარტები სხვა ქვეყნებში. ასევე შევისწავლით, თუ როგორ არის დარეგულირებული ეს საკითხი ევროკავშირის მიერ და არის თუ არა საქართველოში არსებული რეგულაციები ევროკავშირის სტანდარტების შესაფერისი.

ამ საკითხების შესწავლისას მცირე ნაწილით იქნება წარმოდგენილი კვლევა, რომელიც საქართველოს ისტორიულ განვითარებას შეისწავლის. ვნახავთ თუ როგორ ვითარდებოდა ამ თემასთან დაკავშირებული საკითხების მოწესრიგება. მნიშვნელოვანი ცვლილებები იწყება საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, საქართველოს 1995 წლის კონსტიტუციით, რომელიც აღიარებდა შრომის თავისუფლებას. საბჭოთა სისტემისათვის დამახასიათებელი იძულებითი შრომის პრინციპი უარყოფილი იქნა 1997 წელს საქართველოს შრომის კანონთა კოდექსში შეტანილი ცვლილებებითაც. კვლევა განხორციელდება საქართველოში ამჟამად მიმდინარე ცვლილებების შესწავლის ჩათლით.

---

[5] ადმინისტრაციული სამართლის პრობლემები. დავით ბატონიშვილის სამართლის ინსტიტუტი. 2013 გვ78-107

ნაშრომში წარმოდგენილი იქნება შედარებით-სამართლებრივი კვლევა. განხილულ იქნება სხვა ქვეყნების საკანონმდებლო რეგულაციები, დამსაქმებელთა და დასაქმებულთა უფლება-მოვალეობები. შედარება საქართველოში არსებულ მდგომარეობასთან. საქართველოში არსებული მდგომარეობის შედარებას ევროკავშირის სტანდარტებთან. ამ საკითხებთან დაკავშირებულ პრობლემებს, მათი გადაჭრის გზებსა და მომავალში განსახორციელებელ ქმედებებს.

გამომდინარე იქედან, რომ საქართველო ევროკავშირთან ასოცირების პროცესში იმყოფება, უდიდესი მნიშვნელობისა და მაღალი ინტერესის საგანია ადამიანის უფლებების დაცვის სფეროს გაძლიერება, მათ შორის დასაქმებისა და შრომის მიმართულებით ასოცირების შეთანხმებით განსაზღვრული ვალდებულებების შესრულება.

ყველა დასაქმებულს აქვს უფლება ჰქონდეს უსაფრთხო და ჯანსაღი სამუშაო გარემო. შესაბამისად სამუშაო ადგილის უსაფრთხოებასთან მიმართებით ყველა სათანადო ზომა უნდა იქნას მიღებული, რათა უზრუნველყოფილ იქნას სამუშაო ადგილის უსაფრთხოება დასაქმებულის ჯანმრთელობის რისკის და დაზიანების თავიდან ასაცილებლად. შრომის საერთაშორისო ორგანიზაცია წარმოადგენს გაერთიანებული ერების სპეციალიზებულ ორგანოს, რომლის მიზანია სამუშაო ადგილზე სოციალური სამართლიანობისა და ადამიანის უფლებების დაცვის ხელშეწყობა.[6]

შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის ერთ-ერთ მიზანს სწორედ ის წარმოადგენს, რომ განავითაროს წევრ სახემწიფოებში შრომის ინსპექტირება. ამისათვის საკმარისი არ არის მხოლოდ ზედამხედველობის ორგანოებისა და ინსპექტირების ჯგუფების შექმნა. ასევე მნიშვნელოვანია ის გარემოებაც, რომ პირები, რომლებიც განახორციელებენ ინსპექტირებას, იყვნენ შესაბამისად მომზადებულნი, რათა დაცულ იქნეს მშენებლობებზე არამხოლოდ დასაქმებული პირების უსაფრთხოება, არამედ მათიც, ვინც ახორციელებს შრომის უსაფრთხოების ინპექტირებას.

ასევე იქნება აღნიშნული ინსპექტირების პროცესების და შედეგების შესახებ, რაც გულისხმობს შრომის უსაფრთხოების წესების დამრღვევი პირის მიმართ განხორციელებულ სანქციებს და მათ პასუხისმგებლობას, რასაც თან ერთვის ასევე სასამრთლოს გადაწყვეტილებები და მნიშვნელოვანი განმარტებები.
დასკვნის სახით შეჯამებულია კვლევის საკითხები, წამოჭრილი პრობლემების გადაჭრის გზები და რეკომენდაციები.

---

[6] საქართველოს შრომის სამართალი და საერთაშორისო შრომის სტანდარტები. შრომის საერთაშორისო ორგანიზაცია. 2017 გვ 49

2. შრომის უსაფრთხოების სტანდარტები სამშენებლო სამართალში

2.1 შრომის სტანდარტების განვითარების ეტაპები საქართველოში

ქართული შრომის სამართლის ისტორიული განვითარების ათვლა იწყება საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის 1920 წლის 14 აგვისტოს კანონით – „შრომის ხელშეკრულების შესახებ“. კანონი ითვალისწინებდა შრომის ძირითად პრინციპებს და განსაზღვრავდა მისი მოქმედების სფეროს. ამ კანონით განსაზღვრული იყო „შრომის სასამართლოს“ და „შრომის დაცვის ორგანოს დაარსება“. [7]

კანონი აღიარებდა მხარეთა ნების ავტონომიისა და „სუსტი მხარის“ დაცვის პრინციპს – „შრომის ხელშეკრულების ყოველი პირობა დამოკიდებულია მხარეთა შეთანხმებაზე. ნამდვილად არ ჩაითვლება ისეთი პირობა, რომელიც ეწინააღმდეგება ზნეობის წესებს, მის დამდებთ სასამართლოთი სარგებლობის უფლებას უზღუდავს და აგრეთვე პირობა, რომელიც აუარესებს მშრომელის მდგომარეობას წარმოებაში, შინაური წესრიგისა და შრომის დამცველი კანონებით დაწესებულ პირობებთან შედარებით“. [8]

გარდა აღნიშნული კანონისა შრომის უფლებებთან დაკავშირებულ მნიშვნელოვან საკითხებს ითვალისწინებდა ასევე საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის 1921 წლის კონსტიტუციაც. აღნიშნული კონსტიტუცია ითვალისწინებდა დღევანდელი კანონმდებლობისგან განსხვავებულ საკითხებს. მაგალითად: ადგილობრივი თვითმმართველობის ვალდებულებას, რომ შეექმნა „შრომის ბირჟის, საშვამალო კანტორის და სხვა ამგვარი დაწესებულება“, რომელიც აღნუსხავდა უმუშევარ პირებს და შუამავლობას გაუწევდა სამუშაოს შოვნაში, [9] დადგენილი იყო უმუშევარ პირთათვის სახელმწიფო დახმარების ვალდებულება, „სამუშაოს აღმოჩენით ან დაზღვევის სახით“[10], დასაქმებულის შრომის უნარის დაკარგვის შემთხვევაში დახმარების დაწესებას, დაქირავებული მუშა, რომელიც მოხუცებულობით, დაშავებით ან სხვა მიზეზით დაკარგავს, სავსებით ან ნაწილობრივ, შრომის უნარს, მიიღებს დახმარებას დაზღვევის სახით თავისი ხელფასის კვალობაზე. დასაზღვევის თანხა უნდა შედგეს დამქირავებელზე შეწერილი საგანგებო გადასახადისგან. კონსტიტუციით დადგენილი იყო სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა შრომის კანონმდებლობის

---

[7] საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სამართლებრივი აქტების კრებული, თბილისი, „ივერთა მხარე“, 1990, საქართველოს დამფუძნებელი კრების და რესპუბლიკის მთავრობის 1920 წლის 14 აგვისტოს კანონი „შრომის ხელშეკრულების შესახებ“,მე-80, 87-ე მუხლო

[8] იქვე, მე-14 მუხლი.

[9] საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სამართლებრივი აქტების კრებული, თბილისი, „ივერთა მხარე“, 1990, საქართველოს დამფუძნებელი კრების მიერ 1921 წლის 21 თებერვალს მიღებული საქართველოს კონსტიტუცია, 118-ე მუხლი

[10] იქვე, 119-ე მუხლი

დარღვევისათვის. კონსტიტუციით ასევე გათვალისწინებული იყო მინიმალური ხელფასისა და შრომის ნორმალური პირობების განსაზღვრა, შრომის ინსპექციის სამსახურების შექმნა. [11]

შესაბამისად იმ დროს მოქმედი კანონმდებლობა შეიძლება ითქვას, რომ განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა დასაქმებულთა უფლებების დაცვას, რათა არ მომხდარიყო მათი ე.წ. „სუსტი მხარის“ დაჩაგვრა.

საბჭოთა რეჟიმის დამყარების შემდეგ საქართველოში შრომით სამართლებრივ ურთიერთობებს აწესრიგებდა 1973 წლის 1 ოქტომბრის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის შრომის კანონთა კოდექსი. საბჭოთა შრომითსამართლებრივ სისტემას ახასიათებდა პირის იძულება შრომითი ხელშეკრულების დადებაზე. შრომის ვალდებულება მიჩნეული იყო კომუნისტური სამართლებრივი სისტემის ერთ-ერთ აქტიურ შემადგენელ ელემენტად, რომელიც აღიარებული იყო კიდეც საბჭოთა კონსტიტუციით. [12]ამ პერიოდში მნიშვნელოვანი იყო სწორედ ის, რომ შრომა იყო ვალდებულება თითოეული ადამიანის და არა მათი თავისუფალი არჩევანი.

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ საქართველოს 1995 წლის კონსტიტუციით, სწორედ შრომის თავისუფლების განსაზღვრა იყო უმთავრესი. უარყოფილ იქნა შრომის იძულება. 2006 წელს კი მიღებულ იქნა ახალი შრომის კოდექსი, სადაც მნიშვნელოვანი იყო მხარეთა შეთანხმების უპირატესობა კოდექსით გათვალისწინებულ პირობებზე. შესაბამისად დასაქმებულის უფლებების დაცვა კვლავ პრობლემად რჩებოდა. 2010 წელს შრომის კოდექსმა მიიღო ორგანული კანონის სახე, ხოლო 2013 წელს ქართული შრომის სამართალი გადავიდა ახალ განვითარების ეტაპზე და მას შემდეგ განსაკუთრებული ყურადღება ექცევა დასაქმებულთა უფლებების დაცვას, მათი დაჩაგვრის პრევენციას, ასევე შრომის პირობების დაცვას და უსაფრთხოებას. [13]

2.2 მხარეთა უფლება-მოვალეობები შრომის სამართალში

შრომის პირობების დაცვა, დასაქმებულის უფლება ჰქონდეს უსაფრთხო და ჯანსაღი სამუშაო გარემო, განსაკუთრებით საყურადღებოა. შესაბამისად საქართველოს ორგანული კანონი - შრომის კოდექსი განსაზღვრავს დამსაქმებლისა და დასაქმებულის უფლებებსა და მოვალეობებს.

დამსაქმებელი ვალდებულია უზრუნველყოს დასაქმებული სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის მაქსიმალურად უსაფრთხო სამუშაო გარემოთი. დამსაქმებელი ვალდებულია გონივრულ ვადაში მიაწოდოს დასაქმებულს მის ხელთ არსებული სრული, ობიექტური და გასაგები ინფორმაცია ყველა იმ ფაქტორის შესახებ,

---

[11] იქვე 121-127 მუხლები

[12] საქართველოს შრომის სამართალი და საერთაშორისო შრომის სტანდარტები, 2017, გვ22

[13] საქართველოს შრომის სამართალი და საერთაშორისო შრომის სტანდარტები, 2017 გვ22-23

რომლებიც მოქმედებს დასაქმებულის სიცოცხლესა და ჯანმრთელობაზე, ან ბუნებრივი გარემოს უსაფრთხოებაზე. დამსაქმებელი ვალდებულია დანერგოს შრომის უსაფრთხოების უზრუნველმყოფი პრევენციული სისტემა და დროულად მიაწოდოს დასაქმებულს სათანადო ინფორმაცია შრომის უსაფრთხოებასთან დაკავშირებული რისკებისა და მათი პრევენციის ზომების, აგრეთვე საფრთხის შემცველ აღჭურვილობასთან მოპყრობის წესების შესახებ. აუცილებლობის შემთხვევაში უზრუნველყოს დასაქმებული პერსონალური დამცავი აღჭურვილობით. სახიფათო მოწყობილობა ტექნოლოგიურ პროგრესთან ერთად დროულად შეცვალოს უსაფრთხოთი ან ნაკლებად სახიფათოთი, მიიღოს ყველა სხვა გონივრული ზომა დასაქმებულის უსაფრთხოებისათვის და მისი ჯანმრთელობის დასაცავად. დამსაქმებელი ვალდებულია მიიღოს ყველა გონივრული ზომა საწარმოო შემთხვევის შედეგების დროული ლოკალიზაციისა და ლიკვიდაციისათვის, პირველადი დახმარების აღმოჩენისა და ევაკუაციისათვის. დამსაქმებელი ვალდებულია სრულად აუნაზღაუროს დასაქმებულს სამუშაოს შესრულებასთან დაკავშირებული, ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესებით მიყენებული ზიანი და აუცილებელი მკურნალობის ხარჯები. დასაქმებულს უფლება აქვს უარი განაცხადოს იმ სამუშაოს, დავალების ან მითითების შესრულებაზე, რომელიც ეწინააღმდეგება კანონს, ან შრომის უსაფრთხოების პირობების დაუცველობის გამო აშკარა და არსებით საფრთხეს უქმნის მის ან მესამე პირის სიცოცხლეს, ჯანმრთელობას, საკუთრებას ან ბუნებრივი გარემოს უსაფრთხოებას. დასაქმებული ვალდებულია დაუყოვნებლივ შეატყობინოს დამსაქმებელს იმ გარემოების შესახებ, რომლის გამოც იგი უარს ამბობს შრომითი ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულებაზე.[14]

ადამიანის სიცოცხლე არის ყველაზე დიდი სამართლებრივი სიკეთე, შესაბამისად აუცილებელია ყველა ზომა იქნეს მიღებული მის დასაცავად და მაქსიმალურად მოხდეს პრევენცია იმ საფრთხის, რომლის წინაშეც დასაქმებულები არიან. კანონი სწორედ ამას ავალდებულებს ყველა დამსაქმებელს, განსაზღვრავს შრომის უსაფრთხოების წესებს, რომლებიც უნდა იქნეს დაცული და წინააღმდეგ შემთხვევაში მათ აკისრებს პასუხისმგებლობას.

იტალიის sakonstitucio sasamarTlos Tanaxmad, kanonmdeblobiT dadgenili Taviseburebis, gamocdilebisa da teqnologiis kriteriumebis gaTvaliswinebiT damsaqmeblis mier usafrTxoebis zomebis miRebis valdebuleba praqtikaSi gulisxmobs teqnologiebis gamoyenebasa da danergili praqtikis gaTvaliswinebas; Tumca damsaqmeblis pasuxismgebloba dadgeba mxolod im SemTxvevaSi, Tu misi qmedeba winaaRmdegobaSi modis usafrTxoebis standartebTan. prevencia unda daigegmos imgvarad, rom warmoebis procesSi mudmivad iqnes CarTuli teqnika, mxedvelobaSi iqnes miRebuli garemo faqtorebi da Sromis organizacia, aseve gamoiricxos riskebi, xolo, Tu es SeuZlebelia, miRebuli codnis gaTvaliswinebiT moxdes maTi mniSvnelovani Semcireba; maSin, rodesac meore muxli awesebs riskebis xelaxali Sefasebis

[14] საქართველოს ორგანული კანონი, შრომის კოდექსი 03.05.2019წ, 35-ე მუხლი

valdebulebas teqnologiur evoluciasTan erTad. samuSao pirobebis dacvis valdebuleba kavSirSia dasaqmebulis sicocxlisa da janmrTelobis ZiriTad da konstituciur uflebasTan da, Sesabamisad, upiratesi Zala aqvs individualuri Tu koleqtiuri xelSekrulebebis pirobebTan, romlebic, rogorc wesi, awesrigebs samuSao Sesrulebas da damsaqmeblis organizaciul saWroebebs; Sedegad, dadasturebeli cnoba dasaqmebulis janmrTelobisaTvis SeuTavsebeli movaleobebis dakisrebis SeuZleblobis Sesaxeb, gamoiwvevs erT poziciaze xelSekrulebis Sewyvetas da samuSaos Secvlas94, Tumca maSin, rodesac sawarmos ar gaaCnia misi janmrTelobisaTvis Sesaferi samuSao, SesaZlebelia xelSekrulebis Sewyveta da gaTavisuflebis mizezi iqneba sruliad kanonieri. subieqturi prevenciis zomebis kulminacias warmoadgens profesiuli ganaTleba. profesiuli ganaTleba realurad aris saganmanaTeblo procesi, romlis drosac saWiro codna da procedurebi gadaecema dasaqmebulebs, aseve sxva pirebs, romlebic warmoadgenen sawarmos profesiuli janmrTelobis dacvisa da Sromis usafrTxoebis menejmentis personals, samuSao saqmianobis usafrTxod ganxorcielebis, riskebis identificirebis, Semcirebisa da marTvis mizniT. damatebiT, arsebobs sxva specialuri valdebulebebi janmrTelobis dacvisa da Sromis usafrTxoebis sakiTxebze swavlebis Sesaxeb, kerZod: damsaqmeblebma unda Seiswavlon profesiuli janmrTelobis dacvisa da Sromis usafrTxoebis menejmentis sistema, unda gansazRvron pirebi, romelsac evalebaT xanZris prevencia, kontroli da samuSao adgilidan evakuacia, pirveladi daxmareba da, zogadad, saswrafo daxmarebis menejmenti. damsaqmebeli valdebulia, Seamowmos dasaqmebulebma namdvilad miiRes Tu ara saTanado codna da faqtobrivad iyeneben Tu ara prevenciul zomebs, romelic gavlili kursebis ganmavlobaSi samuSaos Sesrulebis dros gamosayeneblad iqna SeZenili. amdenad, gansazRvrulia, rom miuxedavad damsaqmebelis valdebulebisa, uzrunvelyos dasaqmebuli treningebiT, igi araa gaTavisuflebuli valdebulebisagan gaakontrolos da zedamxedveloba gauwios procesebs, raTa dasaqmebulebi, gansakuTrebiT ki gamoucdelebi, daicvas ubeduri SemTxvevisagan. faqtobrivad, radgan damsaqmebeli valdebulia, izrunos Sromis usafrTxoebaze, man mudmivad da dauyovnebliv unda aiZulos dasaqmebulebi, daicvan usafrTxoebis wesebi da Tavidan aicilos daumorCileblobebis SemTxvevebi. Tumca profesiuli ganaTlebis efeqtianoba negatiurad fasdeba, Tu damsaqmebeli regularulad Semwynarebelia saSiSi samuSao praqtikis mimarT, rac ewinaaRmdegeba saswavlo programiT gaTvaliswinebul usafrTxoebis wesebs, rodesac wvrTnis process Tavad gauwia organizeba. Aaseve italiaSi samuSaos specifikidan gamomdinare SesaZloa damsaqmebels daevalos winaswar dasaqmebulTa janmrTelobis mdgomareobis Semowmeba, maTi periodulad gadamowmeba. iqmneba dokumentebi, romliTac dasturdeba dasaqmebulTa janmrTelobis mdgomareobis Sesabamisoba Sesasrulebel saqmesTan. im SemTvevaSi Tu ar iqneba daculi kanoniT gansazRvruli yvela zoma dasaqmebulosა sicocxlis da janmrTelobis dasacavad, maT

SeuZliaT nebismier dros, rogorc ki Seityoben amis Sesaxeb datovon samuSao adgili yovelgvari pasuxismgeblobis gareSe.[15]

asocirebis SeTanxmebis 229-e muxlis Tanaxmad, Sromis samarTlis sferoSi standartebis implementireba dakavSirebulia, erTi mxriv, nayofieri dasaqmebisa da Rirseuli Sromis damkvidrebasTan, rogorc globalizaciis marTvis ZiriTadi elementisa, meore mxriv, vaWrobis xelSewyobasTan. ასოცირების შეთანხმება შეიცავს ინდივიდუალურ დირექტივებს შრომის უსაფრთხოების სფეროში, რომლებიც ჩარჩო დირექტივასთან ერთად ქმნიან შრომის უსაფრთხოების სფეროს რეგულირების ერთიან სისტემას.[16]

89/391/EEC დირექტივა სამუშაო ადგილზე მუშაკთა უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის გაუმჯობესების ხელშეწყობის მიზნით ზომების შემოღების შესახებ. დირექტივის მიზანია დასაქმებულთა უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესება. დირექტივის მეორე სექცია აწესრიგებს დამსაქმებლის ვალდებულებებს და მას ავალებს ყველა აუცილებელი ზომის მიღებას იმისათვის, რათა თავიდან იქნებ აცილებული დასაქმებულთა ჯანმრთელობის გაუარესება. დამსაქმებელი დირექტივის მიხედვით ვალდებულია შექმნას უსაფრთხო სამუშაო გარემო, შეაფასოს და თავიდან აირიდოს შესაძლო რისკები, განახორციელოს პრევენციული ღონისძიებები, დასაქმებულებს ჩაუტაროს სათანადო ინსტრუქტაჟი, მიაწოდოს სრული ინფორმაცია. ასევე დამსაქმებელი ვალდებულია გაითვალისწინოს თითოეული დასაქმებულის ჯანმრთელობის მდგომარეობა, საჭიროების შემთხვევაში დაიხმაროს სპეციალისტები და დაადგინოს რამდენაც მოახდენს მათ ჯანმრთელობაზე გავლენას ესა თუ ის სამუშაო მასალა. იმ შემთხვევაში თუ პრევენციული ღონისძიებების მიუხედავად მაინც მოხდება გაუთვალისწინებელი შემთხვევა, დასაქმებული ვალდებულია განახორციელოს დასაქმებულთა ევაკუაცია და მათ გაუწიოს პირველადი დახმარება. ამ ყველაფრის განხორციელებას დამსაქმებელი შეძლებს, მაშინ როდესაც ის დანიშნავს სპეციალისტებს კონკრეტული საკითხების, შესაძლო რისკების შესასწავლად და სათანადო გეგმების განსახორციელებლად. ასევე მნიშვნელოვანია ამ პროცესებში ჩართულნი იყვნენ დასაქმებული პირებიც, რათა მათ შეძლონ საჭირო ინფორმაციის მიღება, გაიარონ ტრენინგები, სპეციალური მომზადება და საჭიროების შემთხვევაში თვითონვე გაუწიონ კონსულტაციები დამსაქმებლებს სამუშაო გარემოზე არსებულ პირობებთან დაკავშირებით. დირექტივის მიხედვით დამსაქმებლებს ეკისრებათ პასუხისმგებლობა იმ შემთხვევაში თუ არ განახორციელებენ აღნიშნულ ქმედებებს. თუმცა თუ მათი განხორციელების მიუხედავად მაინც დადგება ფორს-მაჟორული

---

[15] საქართველოს შრომის კოდექსის კომენტარი. ანდრეა ბორონი. მერიდიანი. 2016 გვ265-325

[16] შრომითი უფლებების დაცვა, როგორც ევროპული ინტეგრაციის პოლიტიკის ნაწილი განვითარების პერსპექტივები ასოცირების შეთანხმების, ვიზის ლიბერალიზაციის სამოქმედო გეგმისა და სოციალური ქარტიის ფარგლებში.ნათელა დვალი. 2016 გვ8-12 96-102

სიტუაცია, წევრ სახელმწიფოებს აქვთ თავისუფლება, ეროვნულ კანონმდებლობაში თვითონ დაარეგულირონ ასეთ დროს დამსაქმებელთა პასუხისმგებლობის საკითხი. ამ საკითხებთან დაკავშირებული არც ერთი მოქმედება ან მექანიზმის ჩამოყალიბება არ უნდა იწვევდეს ხარჯებს დასაქმებულისთვის. პირიქით, დამსაქმებლის ვალდებულებაა ყველა ხარჯის გაწევა, რაც კი დაკავშირებულია ჯანმრთელობასთან, უსაფრთხოებასთან, ჰიგიენასთან.[17]

მიუხედავად დამსაქმებლების მიერ განხორციელებული ყველა საჭირო ქმედებისა, ხშირ შემთხვევაში დასაქმებულების სიცოცხლეს და ჯანმრთელობას მაინც ექმნება საფრთხე. ამის მიზეზი არის ასევე დასაქმებულთა დაუდევრობა, რომლებიც არ იცავენ საჭირო უსაფრთხოების წესებს.

დირექტივა ასევე მათაც აკისრებს გარკვეულ ვალდებულებებს. ისინი ვალდებულნი არიან დაიცვას როგორც საკუთარი უსაფრთხოება და ჯანმრთელობა, ასევე სხვა, იმ პირების უსაფრთხოება და ჯანმრთელობა, რომლებიც ექცევიან მისი აქტივობის ან სამუშაო ადგილზე ჩადენილი ქმედებების გავლენის ქვეშ. დასაქმებულნი ვალდებულნი არიან მიიღონ საჭირო ინფორმაცია და ცოდნა ჩატარებული ტრენინგებისგან და მოიქცნენ ინსტრუქტაჟის შესაბამისად, რათა მაქსიმალურად იყოს დაცული მათი უსაფრთხოება. მათ უნდა იცოდნენ, როგორ გამოიყენონ სამუშაო დანადგარები, აპარატურა, სამუშაოსთვის განკუთვნილი სხვადასხვა ნივთიერება. გამოყენების შემდეგ უნდა განათავსონ ნივთები შესაბამის ადგილებზე. იმ შემთხვევაში თუ სამუშაო ადგილზე იქნება საფრთხის შემცველი სიტუაცია დაუყოვნებლივ აცნობონ დამსაქმებელს და შეძლებისდაგვარად აღმოფხვრან საფრთხე.[18]

შესაბამისად კომუნიკაციას დამსაქმებელსა და დასაქმებულს შორის აქვს დიდი მნიშვნელობა. ორივე მათგანს აქვს უმნიშვნელოვანესი ვალდებულებები, რომელთა განუხორციელებლობამაც შესაძლოა სერიოზული საფრთხე შუქმნას მათ სიცოცხლეს და ჯანმრთელობას.

დამსაქმებელთა და დასაქმებულთა ვალდებულებებს განსაზღვრავს ასევე სიმაღლეზე მუშაობის უსაფრთხოების მოთხოვნების შესახებ ტექნიკური რეგლამენტი, რომლის მიხედვითაც დამსაქმებელს ეკისრება ვალდებულება მოახდინოს საფრთხეების და რისკების შეფასება და პრევენციული ზომების მიღება. ასევე ვალდებულია შეიმუშაოს სამაშველო გეგმა და გამოყოს შრომის უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირი, რომელიც თავის მხრივ შეიმუშავებს

---

[17] Council Directive 89/391/EEC of 12 June 1989 on the introduction of measures to encourage improvements in the safety and health of workers at work. SECTION II EMPLOYERS' OBLIGATIONS

[18] Council Directive 89/391/EEC of 12 June 1989 on the introduction of measures to encourage improvements in the safety and health of workers at work. Article 13

უსაფრთხოების გეგმას, შეისწავლის და განსაზღვრავს სიმაღლიდან ვარდნის საშიშროებებს და მიიღებს შესაბამის პრევენციულ ზომებს. რეგლამენტი ასევე ვალდებულებებს აკისრებს დასაქმებულ პირებსაც. ისინი ვალდებული არიან ნებისმიერი ინციდენტის და მოსალოდნელი საფრთხის შესახებ დაუყონებლივ აცნობონ უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელ პირს, უნდა გაეცნონ უსაფრთხოების წესებს, შეამოწმონ და გამოიყენონ ყველა საჭირო აღჭურვილობა, რაც აუცილებელია სიმაღლიდან ვარდნის თავიდან ასაცილებლად.[19]

სიმაღლეზე მუშაობის უსაფრთხოების მოთხოვნების შესახებ ტექნიკური რეგლამენტი შეესაბამება საერთაშორისო სტანდარტებს და დამსაქმებელს ავალდებულებს ტრენინგების პროგრამის შემუშავებას და ჩატარებას თითოეული დასაქმებულისთვის, რომელსაც შესაძლოა დაემუქროს სიმაღლიდან ვარდნის საფრთხე. მათ უნდა ჩაუტარდეთ სპეციალური ინსტრუქტაჟი დამცავი საშუალებების გამოყენების შესახებ, რათა მინიმუმამდე იქნეს დაყვანილი სიმაღლიდან ვარდნის რისკი. ასევე მათ უნდა იცოდნენ თავიანთი მოვალეობები უსაფრთხოების წესების დაცვაში, საჭიროების შემთხვევაში უნდა შეძლონ პირველადი დახმარების აღმოჩენა, რისთვისაც საჭიროა სამუშაოს დაწყებამდე მათ გავლილი ჰქონდეთ სპეციალური ტრენინგები. საჭიროების შემთხვევაში ხდება განმეორებითი სწავლება არანაკლებ სამ თვეში ერთხელ, ან ამ ვადამდეც, თუ დასაქმებულები ვერ იყენებენ უსაფრთხოების საშუალებებს სათანადოდ.[20]

2016 წლიდან, ცნობიერების ამაღლების მიზნით, შრომის პირობების ინსპექტირების თანამშრომლები ატარებენ შრომის უსაფრთხოების ტრენინგებს სხვადასხვა კომპანიებისა და ასოციაციებისათვის. ტრენინგის მთავარი თემა არის შრომის პირობები და შრომითი უფლებების დაცვა. თუმცა იმისათვის, რომ ინსპექტირების თანამშრომლებმა სათანადო დონეზე ჩაატარონ ტრენინგები, საჭიროა მათი გადამზადებაც, რაშიც აქტიური მხარდაჭერა აქვთ შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს შრომის საერთაშორისო ორგანიზაციასა და სამუშო ადგილზე ჯანსაღი და უსაფრთხო შრომის პირობების ევროპული სააგენტოსგან. 2015 წლიდან ისინი ზედამხედველობის სააგენტოს თანამშრომლებს უტარებენ ტრენინგებს სხვადასხვა თემებზე, მათ შორის ისეთ საკითხებზე, რომლებიც უკავშირდება მშენებლობებზე შრომის უსაფრთხოებას და მონიტორინგს. მაგალითად, როგორიცაა: შრომის ინსპექციის თანამედროვე და ეფექტური სისტემების ჩამოყალიბება, სამშენებლო სექტორში დასაქმებულთა შრომითი უსაფრთხოება, სამუშაო ადგილზე ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების დაცვის

[19] საქართველოს მთავრობის დადგენილება №477 2017 წლის 27 ოქტომბერი ქ. თბილისი სიმაღლეზე მუშაობის უსაფრთხოების მოთხოვნების შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე
[20] იქვე მე-16 მუხლი

სისტემები, რისკების შეფასება, შრომისა და ჯანმრთელობის უსაფრთხოება სამშენებლო სექტორში, ინსპექტირების ჩატარება მშენებლობაზე.[21]

საქართველოს კანონი პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი განსაზღვრავს დასაქმებულის უფლებებს ჰქონდეს საჭირო ინფორმაცია სამუშაო პირობებთან და მოსალოდნელ საფრთხესთან დაკავშირებით. რა ქმედებები უნდა განახორციელოს დასაქმებულმა უსაფრთხოდ მუშაობისთვის, ასევე აუცილებელია იცოდეს, თუ რა შედეგები შეიძლება მოჰყვეს წესების დაუცველობას, როგორც მისთვის, ასევე გარშემო მყოფთათვის. ობიექტის მფლობელს კი ეკისრება ვალდებულება უზრუნველყოს შრომის უსაფრთხოება, შეასრულოს ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტოს მითითებები, შეატყობინოს დაუყოვნებლივ სააგენტოს ინციდენტის, ავარიის ან უბედური შემთხვევის შესახებ, უნდა ჰყავდეს შრომის უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირი, უზრუნველყოს ტექნიკური ინსპექტირება პერიოდულად, ასევე შეინახოს ყველა საჭირო დოკუმენტაცია.[22]

ავსტრალიის კანონმდებლობა მოითხოვს დამსაქმებლისგან უზრუნველყოს უსაფრთხო მოწყობილობა, შრომის წარმოების უსაფრთხო მეთოდები, სანიტარული აღჭურვილობა. სამუშაო ადგილები უნდა იყოს უსაფრთხო ჯანმრთელობისთვის, სამუშაო იარაღების და მასალების გადაადგილებისას დასაქმებულებს არ უნდა ექმნებოდეთ საფრთხე. დასაქმებულებს გავლილი უნდა ჰქონდეთ შესაბამისი მომზადება შესაბამის ენაზე, გავლილი უნდა ჰქონდეთ მათთვის საჭირო თემებზე კონსულტაციები, მაგ: ჯანმრთელობის დაცვასა და უსაფრთხოებაზე. აუცილებელია მათ იცოდნენ პირველადი დახმარების გაწევა და შესაძლებლობა ჰქონდეთ მიიღონ საჭირო სამედიცინო მომსახურება. მოცემული კანონმდებლობა შესაბამისობაშია შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის 155-ე კონვენციასთან. აღნიშნულ კონვენციასთან შესაბამისობაშია სხვა ქვეყნების კანონმდებლობებიც, უმეტესად ევროპული ქვეყნები, სადაც დამსაქმებლები ვალდებულნი არიან უზრუნველყონ მაქსიმალურად შრომის უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დაცვა. აღნიშნული კონვენცია არა მხოლოდ დასაქმებულებზე ზრუნვას ავალდებულებს დამსაქმებლებს, არამედ დამსაქმებელს ასევე ავალდებულებს იზრუნოს ადგილობრივი მოსახლეობის და გამვლელების დაცვაზე, მათ უსაფრთხოებაზე. ამასთან აუცილებელია დასაქმებულების თანადგომაც უსაფრთხოების დაცვაში. დაქირავებულმა პერსონალმა დამსაქმებელთან ერთობლიობაში უნდა დაიცვას შრომის

[21] საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს შრომის პირობების ინსპექტირების დეპარტამენტის 2015 -2017 წლების საქმიანობის შემაჯამებელი დოკუმენტი გვ8-34

[22] საქართველოს კანონი პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი 23-24 მუხლები

უსაფრთხოების ნორმები და ამით დაიცვას არა მხოლოდ საკუთარი, არამედ სხვა ადამიანების ჯანმრთელობა და სიცოცხლეც.[23]

ევროკავშირში და მის წევრ ქვეყნებში განსაკუთრებული ყურადღება ექცევა დასაქმებულთა უფლების დაცვას. თუმცა გარდა იმ ვალდებულებებისა, რაც დაწესებულია დამსაქმებლებისთვის, ევროკავშირში ასევე დასაქმებულ პირებსაც აქვთ მთელი რიგი ვალდებულებები, რომლებიც განუხრელად უნდა დაიცვან შრომის პროცესში. ყველა დასაქმებული ვალდებულია იზრუნოს არა მხოლოდ საკუთარი, არამედ სხვების ჯანმრთელობაზეც და უსაფრთხოებაზეც სამუშაო ადგილას. ამ მიზნის მისაღწევად მათ სწორად უნდა გამოიყენონ მანქანა-დანადგარები, ინსტრუმენტები, სატრანსპორტო საშუალებები, სხვადასხვა ნივთიერებები. ასევე აქვთ ვალდებულება თავდაცვის საშუალებების გამოყენების. კონკრეტული სამუშაო პროცესის განხორციელების შემდეგ აუცილებლად უნდა განათავსონ ნივთები მათთვის განკუთვნილ ადგილებზე. იმ შემთხვევაში თუ გამოვლინდება რაიმე ხარვეზი, ან თუ ნებისმიერი მოწყობილობა გამოვა მწყობრიდან, მცირედი საფრთხეც კი თუ შეექმნება მათ, ან ნებისმიერი სხვა პირის ჯანმრთელობას და უსაფრთხებას, დაუყოვნებლივ უნდა აცნობონ დამსაქმებლებს და ეცადონ თავიაანთი შესაძლებლობის ფარგლებში დაუყონებლივ აღმოფხვრან ნებისმიერი ხარვეზი.[24]

„შრომის უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონი საკმაოდ დეტალურად აწესრიგებს დამსაქმებელთა და დასაქმებულთა უფლება-მოვალეობებს. დამსაქმებლებს ეკისრებათ ვალდებულება მაქსიმალურად დაიცვან შრომის უსაფრთხოების წესები, განახორციელონ პრევენციული ღონისძიებები, პერიოდულად შეამოწმონ სამუშაო აღჭურვილობის მდგომარეობა, უზრუნველყონ დასაქმებულები შესაბამისი დაცვის საშუალებებით, ითანამშრომლონ მათთან და უსაფრთხოების სპეციალისტებთან. დასაქმებულ პირებს აქვთ სრული უფლება უარი თქვან ისეთი სამუშაოს შესრულებაზე, რამაც შეიძლება ზიანი მიაყენოს მათ სიცოცხლეს და ჯანმრთელობას. შეუძლიათ ჰყავდეთ წარმომადგენლები, რომელთა მეშვეობითაც ექნებათ დამსაქმებლებთან კომუნიკაცია. გარდა მთელი რიგი უფლებებისა, „შრომის უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონი დასაქმებულებს აკისრებს ასევე ვალდებულებებსაც. აქედან უმთავრესი არის ის, რომ დასაქმებული ვალდებულია სამუშაო პროცესში იყენებდეს საჭირო დამცავ საშუალებებს, მოქმედებდეს ინსტრუქციების მიხედვით, რათა მაქსიმალურად მოხდეს საფრთხეების პრევენცია და მათი თავიდან არიდება. [25]

---

[23] Occupational Health and Safety (Commonwealth Employment) Act 1991 Section 16

[24] The EU “Framework Directive” 89/391/EEC of 12 June 1989 on the introduction of measures to encourage improvements in the safety and health of workers at work, Article 13

[25] შრომის უსაფრთხოების შესახებ საქართველოს ორგანული კანონის 3-11 მუხლები.

დასაქმებულთა მხრიდან თავიანთი ვალდებულებების შესრულებას დიდი მნიშვნელობა აქვს პასუხისმგებლობის განსაზღვრისა და ზაინის ანაზღაურების მოთხოვნის დროს.

დამსაქმებელი ვალდებულია უზრუნველყოს დასაქმებული სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის მაქსიმალურად უსაფრთხო სამუშაო გარემოთი), და 35.4 (დამსაქმებელი ვალდებულია დანერგოს შრომის უსაფრთხოების უზრუნველმყოფი პრევენციული სისტემა და დროულად მიაწოდოს დასაქმებულს სათანადო ინფორმაცია შრომის უსაფრთხოებასთან დაკავშირებული რისკებისა და მათი პრევენციის ზომების, აგრეთვე საფრთხის შემცველ აღჭურვილობასთან მოპყრობის წესების შესახებ, აუცილებლობის შემთხვევაში უზრუნველყოს დასაქმებული პერსონალური დამცავი აღჭურვილობით, სახიფათო მოწყობილობა ტექნოლოგიურ პროგრესთან ერთად დროულად შეცვალოს უსაფრთხოთი ან ნაკლებად სახიფათოთი, მიიღოს ყველა სხვა გონივრული ზომა დასაქმებულის უსაფრთხოებისათვის და მისი ჯანმრთელობის დასაცავად.[26]

„შრომის უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მიხედვით სამუშაო სივრცეში უბედური შემთხვევა კლასიფიცირდება მისი შედეგების და ერთ ჯერზე დაშავებული ადამიანების რაოდენობის მიხედვით. კერძოდ: მსუბუქი უბედური შემთხვევა – უბედური შემთხვევის გამო მსუბუქი დაზიანება შრომისუნარიანობის დაკარგვის გარეშე ან შრომისუნარიანობის დაკარგვით არაუმეტეს 3 დღისა. საშუალო სიმძიმის უბედური შემთხვევა – უბედური შემთხვევის გამო დაზიანება შრომისუნარიანობის დაკარგვით 3 დღიდან 40 დღემდე. მძიმე უბედური შემთხვევა – უბედური შემთხვევის გამო მუდმივი შრომისუუნარობის განვითარება ან ჯანმრთელობის მძიმე დაზიანება ან/და დროებითი შრომისუუნარობის განვითარება 40 კალენდარულ დღეზე მეტი ხნით. ფატალური უბედური შემთხვევა – უბედური შემთხვევის გამო ადამიანის (დასაქმებულის ან სხვა პირის) სამუშაო ადგილზე ან უბედური შემთხვევიდან 1 წლის განმავლობაში გარდაცვალება. მასობრივი უბედური შემთხვევა – უბედური შემთხვევის გამო სამი ან მეტი ადამიანის დაშავება, მათ შორის, ერთი მძიმე უბედური შემთხვევა ან ერთი ფატალური უბედური შემთხვევა.[27] ასეთი შემთხვევების არსებობის დროს, სამუშაო მოედანზე მყოფი ყველა პირი ვალდებულია გააკეთოს მაქსიმუმი მსგავსი შემთხვევების თავიდან ასაცილებლად, ასევე დასაქმებულებს უნდა შეეძლოთ პირველადი დახმარების გაწევა. იმ შემთხვევაში თუ მაინც ვერ მოხდება მსგავსი სიტუაციის თავიდან აცილება, ამის

[26] უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება, საქმე №ას--40-37-2015
[27] იქვე. მე-14 მუხლი

შესახებ უნდა აცნობონ შესაბამის პირებს. მათ შორის დამსაქმებლებს და ზედამხედველობის ორგანოებს.

მხარეთა უფლება-მოვალეობების კუტხით სამართლებრივი რეგულაციები საქართველოში საკამოდ კარგად არის მოწესრიგებული და შესაბამისია შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის სტანდარტებთან. ასევე დაახლოებულია ევროპული ქვეყნების სამართლებრივ რეგულაციებთან. მთავარია ეს ყველაფერი პრაქტიკაში იყოს გამოყენებული და გაკონტროლებული, რათა ნორმის მიზანი იყოს შესრულებული.

2.3 სამშენებლო სამართლის ზოგადი მიმოხილვა

სამშენებლო სამართალი მოიცავს, როგორც საჯარო, ისე კერძო სამშენებლო სამართალს. კერძო სამართლი აწესრიგებს მშენებლობის პროცესში წარმოშობილ კერძო სამართლებრივ ურთიერთობებს, ხოლო საჯარო სამშენებლო სამართალი აერთიანებს სხვადასხვა საკითხებს. ისეთებს, როგორიცაა მშენებლობის ნებართვა, მშენებლობის პროცესი. ადგენს მშენებლობის სფეროში მართლწესრიგის დაცვის ნორმებს. საჯარო სამშენებლო სამართალი თავის მხრივ იყოფა ნაწილებად: სივრცითი მოწყობა, სამშენებლო წესრიგის სამართალი. სამშენებლო წესრიგის სამართალი არის მატერიალური და ფორმალური. მატერიალური წესრიგის სამართალი აწესებს ხარისხობრივ მოთხოვნებს მიწის ნაკვეთის, შენობა-ნაგებობის და სამშენებლო მასალის მიმართ, ხოლო ფორმალური წესრიგის სამართალი არეგულირებს მშენებლობის ნებართვის გაცემის, ზედამხედველობის და ექსპლოატაციაში მიღების პროცესს. ამას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს სოციალური სახელმწიფოსთვის, რადგან ადგენს შენობა-ნაგებობების მიმართ სამართლებრივ მოთხოვნებს და შემზღუდველ ნორმებს, რაც უზრუნველყოფს შემდგომში საფრთხის თავიდან აცილებას.[28]

სამშენებლო სამართალი კომპლექსური სფეროა. მისი აქტუალურობა თანდათან იზრდება, როგორც საქართველოში, ასევე საზღვარგარეთის ქვეყნებშიც. ამის მთავარი მიზეზი არის მშენებლობის პროცესების ზრდა და განვითარება.

სამშენებლო ნებართვის მიღება არცთუ ისე რთულია. საჭიროა სამი ეტაპის გავლა, რის შესაძლებლობასაც იძლევა საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ვებ-გვერდი. I სტადიაზე განისაზღვრება მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები, II სტადიაზე ხდება პროექტის შეთანხმება, ხოლო მესამეზე მშენებლობის ნებართვის მიღება. მეორე და მესამე სტადიებზე

[28] სამართლის ჟურნალი N2 2009 ბ, თსუ რედ. ბესარიონ ზოიძე. გვ 121-130

საჭიროების მიხედვით შესაძლოა მშენებლობის ნებართვის მიღებაზე დაინტერესებულ პირს მოუწიოს სახანძრო უსაფრთხოების სისტემის პროექტის წარდგენა, მაგალითად, საერთო სარგებლობის შენობა-ნაგებობებზე. ასევე საჭიროების შემთხვევაში, მშენებლობის სავალდებულო საექსპერტო შეფასება - პროექტის გეოლოგიურ, ან/და ტექნოლოგიურ, ან/და კონსტრუქციულ ნაწილზე; ასევე, ზოგ შემთხვევაში, არსებული შენობა-ნაგებობის გამოკვლევის შედეგებზე. (N57 დადგენილების მიხედვით), სამშენებლო მოედანზე სამშენებლო ტექნიკისა და საშენი მასალებისათვის განკუთვნილი ადგილი და უსაფრთხოების უზრუნველყოფის მეთოდები და ღონისძიებები.[29]

შრომის დაცვა გულისხმობს არა მარტო ტრავმებისგან თავის არიდებას, არამედ შრომის უსაფრთხოებასა და ჰიგიენას. მკვლევარები,რომლებიც მეცნიერებისა და ტექნიკის სხვადასხვა სფეროებში მოღვაწეობენ, ცდილობენ შექმნან უბედური შემთხვევების ეტიმოლოგიის თეორია, რომელიც დაეხმარება გამოავლინოს, იზოლირება მოახდინოს და აღმოფხვრას ფაქტორები, რომლებიც განაპირობებენ უბედურ შემთხვევებს. უსაფრთხოების უნივერსალური კონცეფციის შექმნა ჯერჯერობით ვერ მოხდა.

ქვემოთ მოცემულია გავრცელებული თეორიები: მაგ:“დომინოს“ პრინციპი, ვ.ხ.ხაინრიხის აზრით ყველა უბედური შემთხვევის 88% უკავშირდება პერსონალის არასწორ ქმედებებს, 10% დანადგარების არასაიმედოობას, ხოლო 2 % ფორს-მაჟორს. მან წარმოადგინა :“5 ფაქტორინი თანმიმდევრობა“, რომელიც იწვევს უბედურ შემთხვევას, სადაც ყოველ ფაქტორს მოქმედებაში მოჰყავს შემდეგი დომინოს პრინციპის მსგავსად. ეს 5 ფაქტორია: 1) წარმომავლობა და სოციალური პირობები, 2)თანამშრომლის ანუ მუშახელის შეცდომა, 3)არასწორი ქმედება მექანიკური და ფიზიკური საფრთხის თანხლებით, 4) უბედური შემთხვვა 5) დაზიანებები და ტრავმები. ამ თეორიის უპირატესობა ისაა, რომ უბედური შემთხვევა პრაქტიკულად არასდროს არაა მხოლოდ ერთი მიზეზის ბრალი. აისბერგის თეორიის მიხედვით ყველა უბედური შემთხვევა, დაზიანება, სიკვდილს, აერთიანებს საერთო მიზეზები. ამიტომ უნდა იქნეს გამოკვლეული ამ შემთხვევებში პოტენციური მიზეზები და მიღებულ იქნას ამის მიხედვით უსაფრთხოების ნორმები.[30]

მშენებლობის უსაფრთხოების შესახებ ტექნიკური რეგლამენტი განსაზღვრავს დამსაქმებელთა და დასაქმებულთა ვალდებულებებს, იმისათვის, რათა შექმნას უსაფრთხო და ჯანსაღი სამუშაო გარემო. განსაზღვრავს სიმაღლეზე სამუშაოების შესრულებისას ძირითად მოთხოვნებს და პრევენციული ღონისძიებების ზოგად პრინციპებს ისეთ სამუშაოებზე, რომლებიც დაკავშირებულია სიმაღლესთან

[29] http://tacsa.gov.ge/pages.aspx?id=22
[30] Энциклопедия по охране и безопасности труда», 4-е издание, Женева, МОТ, 1998, глава 56

მუშაობაზე. რეგლამენტით განსაზღვრული წესების დარღვევა ნიშნავს მშენებლობის უსაფრთხოების წესების დარღვევას. რეგლამენტით განსაზღვრულია შრომის უსაფრთხოების გეგმა, სამაშველო გეგმა, რათა საჭიროების შემთხვევაში მოხდეს სამაშველო ღონისძიებების ეფექტური განხორციელება, ასევე განსაზღვრავს ინდივიდიულურ და კოლექტიურ დაცვის საშუალებებს.[31]

ტექნიკური რეგლამენტით განსაზღვრულია დამცავი მოაჯირების სისტემები. აუცილებელია დამცავი მოაჯირები და ბადეები დამონტაჟებული იყოს ყველგან, სადაც არსებობს სიმაღლიდან ვარდნის საფრთხე. დამცავი მოაჯირები შედგება ვერტიკალური, საყრდენი, შუა და ზედა ჰორიზონტალური ძელებისგან. რეგლამენტით დეტალურად არის განსაზღვრული თითოეული ძელის განლაგება, სიმაღლე, სისქე. ასევე ის, თუ რა მასალისგან უნდა იყოს დამზადებული, როგორ უნდა დამონტაჟდეს მასზე ბადეები, რათა დამცავი მოაჯირები იყოს მაქსიმალურად გამძლე და უსაფრთხო დასაქმებული პირებისთვის.[32]

განსაზღვრულია ხარაჩოების მოწყობა და მათი ექსპლოატაციის წესები. ხარაჩო ისე უნდა იყოს დაპროექტებული, რომ არ მოხდეს მისი ჩამოშლა ან შემთხვევითი გამოძრავება. დამზადებული უნდა იყოს მყარი მასალისგან, არ უნდა იყოს შეღებილი ან დაფარული სხვა მასალით. უნდა იყოს რეგლამენტით განსაზღვრული სიმაღლის და უძლებდეს არანალებ 90კგ-ის წონის მიწოლით დატვირთვას. მათი განლაგება უნდა მოხდეს კომპეტენტური პირის მითითებებით, თვითნებურად გადაადგილება ან ნაწილობრივ მოხსნა არის დაუშვებელი. აკრძალულია ხარაჩოების ასაგებად ან საყრდენად აგურების, კანალიზაციის მილების, ხის გალიების, ყუთების ან სხვა არასათანადო და არამყარი მასალების გამოყენება. ხარაჩოების კიბეები უნდა იყოს ისეთი ზომისა და კონსტრუქციის, რომ დასაქმებულები დაცული იყვნენ ჩამოვარდნისაგან.[33]

რეგლამენტი განსაზღვრავს ასევე დაკიდული და გადასატანი ხარაჩოების გამოყენების წესებს და მოთხოვნებს. აუცილებელია ამწევი მოწყობილობა იყოს გამძლე, რათა ხარაჩოების გადააადგილება მოხდეს უსაფრთხოდ. ხარაჩოზე მასალის გადაადგილება ან განლაგება მისი რყევის გარეშე უნდა ხორციელდებოდეს. აუცილებელია მსგავ შემთხვევებში გამოყებენულ იყოს სპეციალური ბაგირები, სამუხრუჭე სისტემები. დეტალურად არის რეგლამენტით გათვალისწინებული თითოეული ნაწილი როგორ უნდა იყოს ერთმანეთთან დამაგრებული, რომლის განხორციელებითაც მაქსიმალურად უსაფრთხოდ მოხდება ხარაჩოების მოძრაობა.

---

[31] საქართველოს მთავრობის დადგენილება №477 2017 წლის 27 ოქტომბერი ქ. თბილისი სიმაღლეზე მუშაობის უსაფრთხოების მოთხოვნების შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე

[32] იქვე. მე-5 მუხლი

[33] იქვე. მე-6 მუხლი

აღჭურვილობის შემოწმებას ახორციელებს სპეციალური ცოდნის მქონე პირი, მათი ექსპლოატაციაში შესვლამდე, შემდგომში პერიოდულად არანაკლებ 7 დღეში ერთხელ და დაუყონებლივ, თუ ამინდის ან სხვა ნებისმიერი მიზეზით შესაძლოა ზეგავლენის მოხდენა აღჭურვილობის მუშაობაზე.[34]

იმ ადგილებზე სადაც ვერ ხერხდება სხვა დამცავი საშუალებების გამოყენება, გამოყენებულ უნდა იქნეს უსაფრთხოების ბადეები, რომლებიც უნდა იყოს გამჭვირვალე. დამაგრებული უნდა იყოს ისეთი ბაგირებით, რომლებიც უძლებს 2250კგ-ს დატვირთვას. აუცილებელია მოხდეს მისი შემოწმება ექსპლოატაციაში მიღებამდე. განმეორებითი შემოწმება უნდა ჩატარდეს არაუგვიანეს ყოველ 6 თვეში, დაუყოვნებლივ უნდა შემოწმდეს ნებისმიერი მცირე ინციდენტის შემდეგაც კი. დაუშვებელია დაზიანებული ბადეების გამოყენება. [35]

რეგლამენტი ასევე განსაზღვრავს ინდივიდუალური და კოლექტიური დაცვის საშუალებებსაც, რაც აუცილებელია უსაფრთხო სამუშაო გარემოს შექმნისათვის. დამჭერი მოწყობილობები, ღვედები და ბაგირები უნდა შემოწმდეს ყოველი გამოყენების წინ, რათა მოხდეს მათი ცვეთის შეფასება და საჭიროების შემთხვევაში განხორციელდეს მათი ხმარებიდან ამოღება. რეგლამენტით განსაზღვრულია კონკრეტული დამცავი საშუალებები რა წონას და დატვირთას უნდა უძლებდნენ. ღიობები (ჭები, შურფები, ლიფტის შახტები, კიბის უჯრედები, ნებისმიერი ადგილი, სადაც შესაძლოა ადამიანების ვარდნა) დაფარული უნდა იყოს სპეციალური ხუფებით ან/და ფენილებით. დაცული უნდა იყოს ასევე გადასატანი კიბეების ექსპლოატაციის წესები. სამშენებლო მოედანზე განსაზღვრული უნდა იყოს საშიში ზონები. ამ ზონებში უნდა იყოს სპეციალური აღნიშვნები და გამაფრთხილებელი ბარიერები, მითითებით და გაფრთხილებით, რომ ზონაში მუშაობა სპეციალური აღჭურვილობის გარეშე არის დაუშვებელი.[36]

სიმაღლეზე მუშაობის ტექნიკური რეგლამენტის გარდა, ასევე მოქმედებს ტექნიკური რეგლამენტი შრომის უსაფრთხოების შესახებ, რომელიც ვრცელდება მშენებლობის ნებართვით გათვალისწინებულ სამშენებლო ობიექტზე შესასრულებელ სამუშაოებზე და განსაზღვრავს უსაფრთხოების მოთხოვნებს სამშენებლო მოედანზე. რეგლამენტი ავალდებულებს საწარმოებს გამოყოფილი ყავდეს პირი,რომელიც პასუხისმგებელი იქნება ტექნიკური რეგლამენტის მოთხოვნათა დაცვაზე. სამშენებლო მოედანი უნდა იყოს ისე მოწყობილი, რომ მაქსიმალურად მოხდეს პრევენცია ტრავმატიზმის შესაძლებლობის, ნებისმიერი პირი ვალდებულია სამშენებლო მოედანზე იმოძრაოს ჩაფხუტებით და შესაბამისი აღჭურვილობით. ასევე აუცილებელია მშენებლობის

[34] იქვე 7-9მუხლები
[35] იქვე მე-10 მუხლი
[36] იქვე.11-15მუხლები

ყველა ობიექტზე იყოს პირველადი სამედიცინო დახმარების გასაწევი საშუალებები. განსაზღვრულია ასევე კონკრეტული მასალის შენახვის წესები. რეგლამენტით განსაზღვრულია შენობა–ნაგებობების დემონტაჟი, მიწისქვეშა სამუშაოები, ელექტროსაშემდუღებლო და აირსაშემდუღებლო სამუშაოები, ელექტროსამონტაჟო სამუშაოები, მოპირკეთების, საიზოლაციო, გადახურვის, სამონტაჟო, ბეტონისა და რკინა–ბეტონის სამუშაოები, საძირკვლების მოწყობა, ბურღვის, მიწის, დატვირთვა–დაცლის სამუშაოები, სამშენებლო მანქანა–მექანიზმების ექსპლუატაცია, ტექნიკური აღჭურვილობისა და ინსტრუმენტების ექსპლუატაცია. რეგლამენტი განსაზღვრავს სამშენებლო მოედნის ორგანიზებას ისე, რომ მაქსიმალურად უზრუნველოს არა მხოლოდ დასაქმებულთა, ასევე გარე პირების უსაფრთხოებაც. სამშენებლო მოედანი დასახლებულ ადგილებში და საზოგადოებრივი სივრცის მომიჯნავედ ან მოქმედი საწარმოს ტერიტორიაზე უნდა იქნეს შემოღობილი, რათა სამშენებლო მოედანზე შესვლა იყოს კონტროლირებადი და გამორიცხული იყოს იქ უნებლიე მოხვედრის შესაძლებლობა. შემოღობვა ხალხის მოძრაობის ადგილებში გადახურული უნდა იყოს ისეთი დამცავი საფარით, რომელიც უზრუნველყოფს ფეხით მოსიარულეთა უსაფრთხოებას. სიბნელის დროს შემოღობვა უნდა იყოს აღჭურვილი სასიგნალო ნათურებით ან/და გამოყენებულ უნდა იქნეს ისეთი სახის მასალა ან შეფერილობა, რომელიც აღიქმება სიბნელეში. იმავე წესით უნდა შემოიღობოს სადემონტაჟო შენობა-ნაგებობის ტერიტორია. ტექნიკური რეგლამენტის მოთხოვნების დარღვევისათვის პასუხისმგებლობა განისაზღვრება პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსის შესაბამისად.[37]

ამ საკითხების დარეგულირება მსგავსია ასევე ესტონეთშიც. ესტონეთის კანონმდებლლობა აწესებს კონკრეტულ მოთხოვნებს სამშენებლო სტანდარტებში. მაგალითად სამშენებლო მოედანი აუცილებლად უნდა იყოს უზრუნველყოფილი პირველადი დახმარების გაწევისათვის. პირველად დახმარებას გაუწევენ სპეციალურად გადამზადებული დასაქმებულები. ხელმისაწვდომობა პირველადი დახმარების საშუალებებთან უნდა იყოს უზრუნველყოფილი. ამისათვის კვირაში ერთხელ უნდა მოწმდებოდეს დახმარების საშუალებების ვარგისიანობა. ყველა მშენებლობაზე, სადაც არსებობს საშიშროება ორზე მეტი მეტრიდან ვარდნისა, აუცილებელია მიღებულ იქნას უსაფრთხოების ზომები, ისეთი, როგორებიცაა დამცავი ღობეები, უსაფრთხოების ბადეები და სხვა. თუ მათი მოხმარება ამა თუ იმ მიზეზის გამო შეუძლებელია, საჭიროა გამოყენეულ იქნეს ინდივიდუალური დაცვის საშუალებები, მაგალითად ქამრები, ბაგირები შესაფერისი სამაგრებით. სახურავზე, სადაც დახრა 15 გრადუსზე ნაკლებია უნდა გაკეთდეს დამცავი ჯებირები, უსაფრთხოებისთვის. დანარჩენ შემთხვევებში აუცილებელია დამცავი ბადე 2-5

[37] საქართველოს მთავრობის დადგენილება №361 2014 წლის 27 მაისი ქ. თბილისი მშენებლობის უსაფრთხოების შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე

მეტრში. ყველაზე ხშირად უბედურ შემთხვევას იწვევს ამწე მექანიზმის გაუმართაობა, არასწორი, დაბრეცილი ნიადაგი, სადაც ამწე დგას, ასევე დამცავი ქამრების გამოუყენებლობა. სამშენებლო კონსტრუქციებზე შეჯახება ან მათ შორის ვარდნა, სამშენებლო კონსტრუქციის და სატრანსპორტო საშუალებების შეჯახება, ამწეს გადატვირთვა.[38]

ასევე არის სპეციალური მოთხოვნები ინდივიდუალური დაცვის საშუალებების შესახებ. იმისათვის, რომ დაცულ იქნებს უსაფრთხოება მშენებარე ობიექტზე, ყველა დასაქმებული ვალდებულია აღჭურვილ იყოს ინდივიდუალური თავდაცვის საშუალებებით (ქუდი, სათვალე, ფეხსაცმელი, ხელთათმანები, პირბადე). მშენებლობის კოორდინატორი პირი პასუხისმგებელია მასზედ, რომ შეამოწმოს დასაქმებულების აღჭურვილობა. სამშენებლო სამუშაოების შესრულებისას თანამშრომლებს უნდა ეცვათ ფეხსაცმლები, სპეციალურად განკუთვნილი მშენებლობისთვის. ის არ უნდა სრიალებდეს, ადვილად არ უნდა ერჭობოდეს ლურსმანი ან სხვა რამ, მასზე რამის დაცემისას ნაკლებად უნდა ზიანდებოდეს ფეხი. ასევე უნდა ატარებდეს ჰაერს და არ უნდა სველდებოდეს ადვილად. დიდი რისკის მატარებელ ადგილებში სამუშაოების შესრულებისას, იქ სადაც მეტია ალბათობა სასუნთქი გზების დაბინურების, სხვადასხვა სამუშაო მასალების გამოყენებისთვის განსაზღვრულია სხვადასხვა სახის პირბადეები, რომელიც უნდა გამოიყენოს დასაქმებულმა რათა რისკი დაიყვანოს მინიმუმამდე. გადაადგილების გზები და ასევე ყველა კიბე, სატვირთო ესტაკადები, პანდუსები ისე უნდა იყოს დაპროექტებული, რომ მათი მოხმარება იყოს უსაფრთხო, მათთან წვდომა კი მარტივი. განათება უნდა იყოს საკმარისი, უნდა იყოს დადგენილი ნორმების ფარგლებში. განსაზღვრულია ქვედა ზღვარი 25 ლუქსი, მაგრამ არც ისეთი მაღალი არ უნდა იყოს, რომ თვალს ჭრიდეს მომუშავე პერსონალს.[39]

ასევე შვედეთშიც, ანალოგიურად არის მოწესრიგებული ზემოთ აღნიშნული საკითხები. შვედეთის კანონმდებლობის მიხედვით ყველა მშენებლობაზე უნდა იყოს სათანადოდ მოვლილი და შენახული სამშენებლო მასალა-იარაღები, უნდა იყოს მოწესრიგებული ნაგვის, სამშენებლო ნარჩენების, ნამტვრვების გატანის საკითხი. იკრძალება სამშენებლო მასალების შეგროვება სამშენებლო მოედანზე ისე, რომ ხელს უშლიდეს შენობა-ნაგებობასთან თავისუფლად გადაადგილებას. სამუშაო ადგილები, რომლებიც არის სრიალა, ყინულის ან ზეთის გამო უნდა ირეცხებოდეს ან იყრებოდეს ზედ ქვიშა ან/და ნახშირი. აუცილებელია დაცული იყოს ხანძარსაწინააღმდეგო ნორმები. სწრაფად აალებადი სამშენებლო მასალებისთვის, გაზისთვის უნდა იყოს ცალკე შესანახი უსაფრთხო საწყობი, რომელთანაც არ ექნება

[38] Безопасность труда на строительной площадке Редактор: Эвелин Кивимаа 2014 გვ. 2-38

[39] Безопасность труда на строительной площадке Редактор: Эвелин Кивимаа 2014 გვ. 38-44

უცხო პირებს წვდომა. ასევე უნდა იყოს აღჭურვილი ხანძარსაწინააღმდეგო მოწყობილობების ევაკუაციის გეგმით და განგაშის სიგნალით. ის ადგილები სადაც საკამრისი არაა განათება უნდა იყოს უზრუნველყოფილი საკამრისი განათებებით. ნათურები, უნდა იყოს აღჭურვილი პლაფონებით, სადაც ისინი დაბლაა დაკიდებული. დენის კაბელები, სათნადოდ უნდა იყოს დამაგრებული და დაცული. ტვირთის ამწე გადამტან მექანიზმებს, რომლებსაც გადააქვთ აგური, მოსაპირკეთებელი ფილები და სხვა ფანტვადი მასალა, უნდა ჰქონდეს გვერდებზე სამაგრები, რომლებიც გამორიცხავენ მასალის დაფანტვას. მასალა ისე უნდა იყოს დამაგრებული, რომ მან არ იმოძრაოს ამწეზე.[40]

[40] БЕЗОПАСНОСТЬ, ОХРАНА ЗДОРОВЬЯ И УСЛОВИЯ ТРУДА Швеции გვ40-59

3. მშენებლობაზე შრომის უსაფრთხოების საერთაშორისო სტანტარტები

3.1 შრომის საერთაშორისო ორგანიზაცია/ILO (კონვენციები)

შრომის საერთაშორისო ორგანიზაცია დაფუძნდა 1919 წელს, ვერსალის ხელშეკრულების საფუძველზე. Mdebareobs q. jenevaSi. ILO-ს დაფუძნება იყო საერთაშორისო საზოგადოების პასუხი უსაფრთხოების, ჰუმანიტარულ,პოლიტიკურ და ეკონომიკურ საკითხებთან დაკავშირებულ სხვადასხვა გამოწვევაზე. ILO წარმოადგენს გაერთიანებული ერების სპეციალიზებულ ორგანოს, რომლის მიზანია სამუშაო ადგილზე სოციალური სამართლიანობისა და ადამიანის უფლებების დაცვის ხელშეწყობა. ILO-ს ძირითადი ფუნქციაა კონვენციებისა და რეკომენდაციების ფორმით სამუშაო ადგილზე დაცვის მინიმალური პირობების განმსაზღვრელი საერთაშორისო შრომის სტანდარტების შემუშავება და მათი იმპლემენტაციის უზრუნველყოფა. ის არის მსოფლიოში ერთადერთი მრავალმხრივი ინსტიტუცია, რომელიც მოიცავს მთავრობების, დამსაქმებლებისა და დასაქმებულების წარმომადგენლობისგან შემდგარ სამმხრივ სტრუქტურას. ორგანიზაცია მუშაობს 187 წევრ სახელმწიფოსთან იმ მიზნით, რომ როგორც კანონმდებლობის, ასევე პრაქტიკულ დონეზე უზრუნველყოს საერთაშორისო შრომის სტანდარტების დაცვა.[41]

შრომის საერთაშორისო ორგანიზაციას საქართველო 1993 წელს შეუერთდა. საქართველომ შეერთების/რატიფიცირების გზით შესასრულებლად სავალდებულოდ აღიარა ILO-ს 18 კონვენცია. მათგან 16 კონვენციის რატიფიცირება/შეერთება განხორციელდა 1994-2004 წლების პერიოდში. 2017 წელს რატიფიცირებულ იქნა 144-ე კონვენცია „შრომის საერთაშორისო სტანდარტების განხორციელების ხელშეწყობის მიზნით სამმხრივი კონსულტაციების შესახებ“.საქართველოს რატიფიცირებული აქვს ყველა ფუნდამენტური კონვენცია, პრიორიტეტული კონვენციებიდან – # 122 და # 124.[42]

---

[41] საქართველოს შრომის სამართალი და საერთაშორისო შრომის სტანდარტები. 2017. გვ49-52

[42] დასაქმებულთა უფლებები. ე.ქარდავა. 2018 გვ.10-15

საქართველოს კანონმდებლობა შეესაბამება საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებულ პრინციპებსა და ნორმებს. საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებას, თუ იგი არ ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციას ან კონსტიტუციურ შეთანხმებას, აქვს უპირატესი იურიდიული ძალა შიდასახელმწიფოებრივი ნორმატიული აქტის მიმართ.[43]

შრომის საერთასორისო ორგანიზაციის კონვენციები წარმოადგენს საერთაშორისო ხელშეკრულებებს, შესაბამისად იერარქიულად უფრო მაღლა დგანან ვიდრე საქართველოს ორგანული კანონი და სქართველოს კანონი. [44]

მიუხედავად ამისა ყოველთვის არ არის შესაძლებელი კონვენციების გამოყენება საზოგადოებრივი ურთიერთობის რეგულირებისას, შესაბამისად უმჯობესია კონვენციების დებულებების შიდასახელმწიფოებრივ კანონმდებლობაში გადატანა. ამ გზით ხდება მათი დაკონკრეტება, შინაარსის სწორად და ნათლად განსაზღვრა. ასევე ეროვნული კანონმდებლობით განისაზღვრება პასუხისმგებლობის ფორმები დადგენილი სტანდარტების დარღვევისთის.

საქართველოს რატიფიცირებული აქვს N29 და N105 კონვენციები, რომლებიც ეხება იძულებით და სავალდებულო შრომას. იძულებითი და სავალდებულო შრომა საქართველოს კანონმდებლობით აკრძალულია, რასაც ადასტურებს საქართველოს კონსტიტუციის ჩანაწერი შრომის თავისუფლების შესახებ .[45]

შრომის საერთაშორისო ორგანიზაციას განსაზღვრული აქვს მშენებლობაზე შრომის უსაფრთხოების დასაცავად თუ რა წესები უნდა იყოს დაცული. ყველა მშენებლობაზე უნდა იყოს სათანადოდ მოვლილი და შენახული სამშენებლო მასალა-იარაღები, უნდა იყოს მოწესრიგებული ნაგვის, სამშენებლო ნარჩენების და ნამტვრვების გატანის საკითხი. იკრძალება სამშენებლო მასლების შეგროვება სამშენებლო მოედანზე, ისე რომ იგი ხელს უშლიდეს შენობა-ნაგებობასთან თავისუფლად გადაადგილებას. სამუშაო ადგილები, რომლებიც არის სრიალა ყინულის ან ზეთის გამო უნდა ირეცხებოდეს, ასევე ზედ უნდა იყრებოდეს ქვიშა ან ნახშირი. უნდა იყოს დაცული ხანძარსაწინააღმდეგო ნორმები. სწრაფად აალებადი სამშენებლო მასალებისთვის, ასევე გაზისათვის უნდა იყოს ცალკე შესანახი უსაფრთხო საწყობი, რომელთანაც არ ექნება უცხო პირებს წვდომა. ასევე უნდა იყოს აღჭურვილი ხანძარსაწინააღმდეგო მოწყობილობების ევაკუაციის გეგმით და განგაშის სიგნალით. ის ადგილები სადაც საკმარისი არაა განათება, უნდა იყოს უზრუნველყოფილი საკმარისი განათებებით, ნათურები, უნდა იყოს აღჭურვილი პლაფონებით, სადაც

---

[43] საქართველოს კონსტიტუცია. მე-4 მუხლი.

[44] საქართველოს ორგანული კანონი ნორმატიული აქტების შესახებ. მე-7 მუხლი.

[45] საქართველოს კონსტიტუცია 26-ე მუხლი

ისინი დაბლაა დაკიდებული. დენის კაბელები, სათნადოდ უნდა იყოს დამაგრებული და დაცული. ტვირთის ამწე გადამტან მექანიზმებს ,რომლებსაც გადააქვთ აგური, მოსაპირკეთებელი ფილები და სხვა ფანტვადი მასალა უნდა ჰქონდეს გვერდებზე სამაგრები ,რომლებიც უზრუნველყოფენ მათ დაცვას დაფანტვისგან. მასალა დამაგრებული უნდა იყოს ისე რომ მან არ იმოძრაოს ამწეზე.[46]

3.2 ევროკავშირი/European Union (ევროკავშირის შრომის დირექტივები)

saxelmwifos arsebobis erT-erT mTavar mizani moqalaqeebisaTvis Rirseuli cxovrebis standartebiT uzrunvelyofaa, romlis erT-erTi mniSvnelovani komponenti Rirseuli da usafrTxo Sromis pirobebis Seqmnaa. bolo wlebSi saqarTveloმ progresuli nabijebi gadadga Sromis sferoSi. mniSvnelovnad Seuwyo xeli SeTanxmebam saqarTvelo-evrokavSirs Soris asocirebis Sesaxeb da saqarTvelosa da evrokavSirs Soris savizo reJimis liberalizaciis Taobaze dawyebulma dialogma, romelsac safuZveli Caeyara 2012 wlis 4 ivniss briuselSi. 2013 wlis TebervalSi evrokomisiam saqarTvelos mTavrobas warudgina `savizo reJimis liberalizaciis samoqmedo gegma“,gansakuTrebuli aqcentebi daisva saqarTvelosa da evrokavSirs Soris savizo reJimis liberalizaciis Taobaze dawyebuli dialogis procesSi სხვადასხვა შრომით სამართლებრივ საკითხეზე, მაგ: შრომის ინსპექტირება, შრომითი მიგრაციის რეგულირება და სხვა.[47]

საქართველომ ეროვნული კანონმდებლობა უნდა მოიყვანოს შესაბამისობაში AA-ს 30-ე დანართში მითთებულ კანონმდებლობასთნ, რათა შეძლოს ამ ამოცანების შესრულება.

AA-ს (ასოცირების შეთანხმება) XXX დანართი სამ ნაწილად არის დაყოფილი:

1. შრომის სამართალი

2. დისკრიმინაციის აკრძალვა და გენდერული თანასწორობა

3. ჯანმრთელობა და უსაფრთხოება სამუშაო ადგილებზე.

თითოეული ვალდებულების ვადა ითვლება 2014 წლის 1 სექტემბრიდან. ევროკავშირის „დასაქმებისა და პროფესიული განათლების რეფორმების ტექნიკური დახმარების პროექტის“ ექსპერტები აქტიურად მონაწილეობენ საქართველო-ევროკავშირის ასოცირების შეთანხმების XXX-ე დანართით განსაზღვრული ევრო დირექტივების საქართველოს კანონმდებლობაში ტრანსპოზიციის პროცესში. შრომის

[46] БЕЗОПАСНОСТЬ, ОХРАНА ЗДОРОВЬЯ И УСЛОВИЯ ТРУДА Швеции

[47] შრომითი უფლებების დაცვა, როგორც ევროპული ინტეგრაციის პოლიტიკის ნაწილი- განვითარების პერსპექტივები ასოცირების შეთანხმების, ვიზის ლიბერალიზაციის სამოქმედო გეგმისა და სოციალური ქარტიის ფარგლებში. ნათელა დვალი. 2016

უსაფრთხოების სფეროში შესასრულებელია 26 დირექტივა. მათგან ყურადღებას გავამახვილებთ განსახილველ თემასთან დაკავშირებულ დირექტივებზე. ესენია:

- 89/391/EEC დირექტივა სამუშაო ადგილზე მუშაკთა უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის გაუმჯობესების ხელშეწყობის მიზნით ზომების შემოღების შესახებ. შესრულების ვადა 5წ.

- 89/654/EEC დირექტივა სამუშაო ადგილზე უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის მინიმალური მოთხოვნების თაობაზე (პირველი ინდივიდუალური დირექტივა 89/391/EEC დირექტივის მე-16(1) მუხლის კონტექსტში). დამუშავებულია 2015 წელს.

- დირექტივა 89/656/EEC სამუშაო ადგილზე მუშაკთა მიერ პერსონალური დამცავი აღჭურვილობის გამოყენებისთვის უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის მინიმალური მოთხოვნების შესახებ (მესამე ინდივიდუალური დირექტივა 89/391/EEC დირექტივის მე16(1) მუხლის კონტექსტში. დამუშავებულია 2015წელს.

- 90/269/EEC დირექტივა ტვირთის ხელით აწევის დროს, მუშაკთა მიერ განსაკუთრებით ზურგის დაზიანების საფრთხის არსებობის პირობებში, ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების მინიმალური მოთხოვნების შესახებ (მე-4 ინდივიდუალური დირექტივა 89/391/EEC დირექტივის მუხლის 16(1) კონტექსტში). დამუშავებულია 2016 წელს.

- 2003/10/EC დირექტივა მუშაკთა ფიზიკური აგენტებით (ხმაური) გამოწვეული პოტენციური რისკის წინაშე დაყენებასთან დაკავშირებით უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის მინიმალური მოთხოვნების შესახებ (მეჩვიდმეტე ინდივიდუალური დირექტივა 89/391/EEC დირექტივის მე16(1) მუხლის კონტექსტში). შესრულების ვადა 9წ.

- 2004/40/EC დირექტივა მუშაკთა ფიზიკური აგენტებით (ელექტრომაგნიტური ველი) გამოწვეული პოტენციური რისკის წინაშე დაყენებასთან დაკავშირებით უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის მინიმალური მოთხოვნების შესახებ (მეთვრამეტე ინდივიდუალური დირექტივა 89/391/EEC დირექტივის მე16(1) მუხლის კონტექსტში). შესრულების ვადა 9წ.

ჯერ უნდა განხორციელდეს ჩარჩო დირექტივის შესრულება 5 წელში (89/391/EEC დირექტივა სამუშაო ადგილზე მუშაკთა უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის გაუმჯობესების ხელშეწყობის მიზნით ზომების შემოღების შესახებ), ხოლო ამის შემდეგ უნდა დაიწყოს ჩარჩო დირექტივის საფუძველზე მიღებული ინდივიდუალური დირექტივების შესრულება. ინდივიდუალური დირექტივები

წარმოადგენენ საქმიანობის კონკრეტულ სფეროში გამოყენებად წესებსა და სტანდარტებს.

89/391/EEC დირექტივა სამუშაო ადგილზე მუშაკთა უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის გაუმჯობესების ხელშეწყობის მიზნით ზომების შემოღების შესახებ, დირექტივის მიზანია დასაქმებულთა უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესება.

აღნიშნული დირექტივები ვრცელდება როგორც საჯარო, ასევე კერძოსამართლებრივ ურთიერთობებზე. ასევე სახელმწიფო არ არის შეზღუდული ეროვნული კანონმდებლობით განსაზღვროს უკეთესი პირობები დასაქმებულთა ჯანმრთელობის და უსაფრთხოების დასაცავად, ვიდრე ეს დირექტივითაა გათვალიწინებული.[48]

3.3 სოციალური დიალოგის მნიშვნელობა და ევროპულ სტანდარტებთან შესაბამისობა

2005 წლის პირველ ივლისს, საქართველო შეუერთდა „ევროპის სოციალურ ქარტიას". ევროპის სამეზობლო პოლიტიკის სამოქმედო გეგმა საქართველოსათვის ძალაში შევიდა 2006 წლის 14 ნოემბერს, მას შემდეგ, რაც ის საქართველოს და ევროკავშირს შორის თანამშრომლობის საბჭომ მოიწონა. სამოქმედო გეგმის ერთ-ერთი პრიორიტეტია „ადამიანის უფლებების და ძირითადი თავისუფლებების პატივისცემის უზრუნველყოფა", სადაც განსაზღვრულია ,,ევროპის სოციალური ქარტიით" წარმოდგენილი სტანდარტების შესრულების უზრუნველყოფა. აღნიშნული ითვალისწინებს ადამიანის სოციალური უფლებებისა და შრომითი ურთიერთობების საერთო ევროპულ ღირებულებებთან შესაბამისობაში მოყვანას და პროფესიული კავშირების ძირითადი უფლებების და შრომის ძირითადი სტანდარტების დანერგვას საქართველოს მიერ რატიფიცირებული ,,შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის" (ILO) კონვენციების შესაბამისად.[49]

შრომით ურთიერთობებში მნიშვნელოვანია არსებობდეს სოციალური დიალოგი. უმეტეს შემთხვევაში დამსაქმებლის მთავარი მიზანია მეტი მოგების მიღება ნაკლები დანახარჯებით, შესაბამისად დასაქმებულთა ინტერესების გათვალისწინება მინიმუმამდე არის დაყვანიილ. სწორედ ამ პრობლემის მოსაგვარებლად არის საჭირო სოციალური დიალოგი.

სოციალური დიალოგი, ძირითადად, ხორციელდება სამთავრობო და საწარმოო დონეზე. სამთავრობო დონეზე სოციალური დიალოგის მონაწილე მხარეები არიან მთავრობა, პროფესიული გაერთიანებები და დამსაქმებელთა გაერთიანებები.

---

[48] დასაქმებულთა უფლებები. ე.ქარდავა .2018 გვ37-47

[49] ევროპის სამეზობლო პოლიტიკა, სამოქმედო გეგმა - ევროკავშირი საქართველო, გვ.11.

მხარეების მოლაპარაკების ძირითადი საგანი არის შრომის პირობებისა და დასაქმებულთა ინტერესების საკანონმდებლო რეგულირების საკითხები. საწარმოო დონეზე სოციალური დიალოგის მონაწილეები არიან დასაქმებულთა პროფესიული გაერთიანებები და უშუალოდ დამსაქმებელი.[50]

სოციალური დიალოგის მიზანია მხარეები იყვნენ თანაბარუფლებიანები, მათი ურთიერთობა დამყარებული იყოს დემოკრატიულ პრინციპებზე, დაიცვას დასაქმებულთა, როგორც სუსტი მხარის უფლებები და რაც მთავარია ეს პროცესი განხორციელდეს მოლაპარაკების გზით.[51]

2008 წლის ბოლოს, ხელი მოეწერა სამმხრივ შეთანხმებას პროფკავშირებს, დამსაქმებლებს და სახელმწიფოს შორის, რის შემდეგაც, სოციალურმა დიალოგმა შედარებით სისტემური სახე მიიღო. მაგრამ ეს მაინც ვერ გახდა საკმარისი ამ ურთიერთობების ეფექტიანობისათვის. ევროკავშირის ინსტიტუტების რეკომენდაციის შედეგად 2009 წლის 12 ნოემბერს გამოიცა პრემიერ-მინისტრის ბრძანება სამხრივი კომისიის შექმნის შესახებ, 2010 წლის 2 მარტს, საქართველოს პრემიერ-მინისტრმა გამოსცა ბრძანება №57, „სოციალური პარტნიორობის სამმხრივი კომისიის დებულებისა და შემადგენლობის დამტკიცების შესახებ". სამმხრივი კომისიის მონაწილე მხარეებია საქართველოს მთავრობა, დამსაქმებელთა გაერთიანებები და პროფესიული კავშირები.[52]

სამმხრივი კომისიის ფუნქციებია: ქვეყანაში სოციალური პარტნიორობის, დასაქმებულებს, დამსაქმებლებს და სახელმწიფოს შორის სოციალური დიალოგის ხელშეწყობა ყველა დონეზე; შრომით ურთიერთობებში სხვადასხვა საკითხზე წინადადებების და რეკომენდაციების შემუშავება.[53]

სოციალური დიალოგი ევროპული კულტურის ნაწილია, იგი მნიშვნელოვანია ქვეყნის განვითარებისთვის, სტაბილურობისთვის, საზოგადოების გაძლიერებისთვის და რა თქმა უნდა ზოგადად დემოკრატიული პროცესების განუყოფელი ნაწილია.

შრომის დაცვაში სოციალური პარტნიორობა მიმართული უნდა იყოს საერთო პრობლემების გადაწყვეტისკენ ძიებით. სოციალური დიალოგი კი, სწორედ ის

---

[50] ვუახლოვდებით ევროპას?: ეკონომიკური და სოციალური პოლიტიკა საქართველოში, სომხეთსა და აზერბაიჯანში. რედაქტორი: ეკატერინე ჯორბენაძე; ეკონომიკის პრობლემების კვლევის ცენტრი. ფრიდრიხ ებერტის ფონდი. 2010

[51] ფრიდრიხ ებერტის ფონდი. შრომის დაცვა საქართველოში 2013.

[52] ვუახლოვდებით ევროპას?: ეკონომიკური და სოციალური პოლიტიკა საქართველოში, სომხეთსა და აზერბაიჯანში. რედაქტორი: ეკატერინე ჯორბენაძე; ეკონომიკის პრობლემების კვლევის ცენტრი. ფრიდრიხ ებერტის ფონდი. 2010

[53] საქართველოს მთავრობის დადგენილება №258 2013 წლის 7 ოქტომბერი ქ. თბილისი სოციალური პარტნიორობის სამმხრივი კომისიის დებულების დამტკიცების შესახებ

მარტივი გზაა, რაც არსებულ პრობლემებს დაარეგულირებს და მნიშვნელოვნად შეამცირებს უკმაყოფილებას დამსაქმებელსა და დასაქმებულს შორის. შექმნის სამართლიან სამუშაო გარემოს, რაც არა მხოლოდ დასაქმებულსა და დამსაქმებელს შორის ურთიერთობებს დახვეწავს, არამედ განავითარებს ბიზნეს გარემოს და ეკონომიკას.

სოციალური დიალოგი და კოლექტიური მოლაპარაკებები შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ მოიცავს ყველა სახის მოლაპარაკებებს, კონსულტაციებს და ინფორმაციის გაცვლას მთავრობების, დამსაქმებლებისა და მუშაკების წარმომადგენლების შორის. ეკონომიკური და სოციალური პოლიტიკის საერთო ინტერესის საკითხებს. კოლექტიური მოლაპარაკებები არის ხელფასისა და სამუშაო პირობების დადგენის საშუალება. თანამშრომლები, უზრუნველყოფენ შეთანხმებას თავისუფალი და ნებაყოფლობითი მოლაპარაკების გზით. სამრეწველო ურთიერთობები მრავალფეროვანია ევროკავშირის წევრ ქვეყნებში. ყველაზე მნიშვნელოვანი განსხვავებებია გაერთიანების დონე, ცენტრალიზაციის ხარისხი, კანონმდებლობის როლი და იდეოლოგია .[54]

სოციალური პარტნიორობის სამმხრივი კომისია შრომის უსაფრთხოების მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით შეიმუშავებს წინადადებებს და რეკომენდაციებს, განიხილავს სხვადასხვა პროექტებს უსაფრთხოების საკითხებთან დაკავშირებით, განიხილავს რამდენად ადეკვატური, პროპორციული, თანამიმდევრულია ზედამხედველობის ორგანოს მიერ განხორციელებული სანქციები.[55]

[54] The Europanisation of occupational health services: A study of the impact of EU policies 120-130 2008

[55] შრომის უსაფრთხოების შესახებ საქართველოს ორგანული კანონი მე-16 მუხლი

4. მაკონტროორგანოები და ზედამხედველობის განხორციელებალებელი

4.1 ზედამხედველობის სამსახურები და მათი უფლებამოსილება

ადამიანის სიცოცხლე და ჯანმრთელობა, როგორც უკვე ავღნიშნეთ არის ფუნდამენტური უფლება, რომელსაც იცავს როგორც საქართველოს კონსტიტუცია, ასევე არაერთი საერთაშორისო ხელშეკრულება. საქართველოში არსებული რეალობიდან გამომდინარე, აუცილებელია სახელმწიფო მაქსიმალურად იქნეს ჩართული შრომის უსაფრთხოების გაუმჯობესების პროცესში, რადგან სტატისტიკა, რომელიც იქნება წარმოდგენილი ცხადყოფს, რომ სწორედ ეს სფეროა დასახვეწი და გასაუმჯობესებელი. სამწუხაროდ ძალიან მაღალია იმ პირთა რაოდენობა, რომელთა ჯანმრთელობის დაზიანება და სიცოცხლის მოსპობა ხდება სწორედ შრომის უსაფრთხოების სტანტარტების დაუცველობის გამო.

საქართველოს აქვს ნაკისრი ვალდებულებები, რომლებიც უნდა შეასრულოს, იმისათვის, რომ შრომის უსაფრთხოების სტანდარტები იყოს შესაფერისი საერთაშორისო სტანდარტებთან. ამაში ჩვენ დიდ დახმარებას გვიწევენ შრომის საერთაშორისო ორგანიზაცია და ევროკავშირი, რომელთა მხარდაჭერითაც ხორციელდება არაერთი პროექტი. ამ პროექტების მეშვეობით ხელი ეწყობა ცნობიერების ამაღლებას, კანონმდებლობის დახვეწას და მის პრაქტიკაში სწორად გამოყენებას.

საქართველოში 2006 წელს, ,,სახელმწიფო დერეგულირების პოლიტიკის ფარგლებში" გაუქმდა შრომის სახელმწიფო ინსპექცია. ამ ფაქტს კი საკმაოდ მძიმე შედეგები მოყვა შრომის უსაფრთხოების პირობების გაუარესების თვალსაზრისით.

საქართველოსა და ევროკავშირს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმებით საქართველომ აიღო ვალდებულება, განსაზღვრულ ვადებში ეტაპობრივად დაუახლოვოს თავისი კანონმდებლობა ევროკავშირის კანონმდებლობას. ამ შეთანხმების XXX-ე დანართი მოიცავს ევროდირექტივების ჩამონათვალს, რომელიც შეეხება სამუშაო ადგილზე ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების საკითხებს და მათი შესრულების ვადებს. აღნიშნული ვადების გათვალისწინებით უნდა მოხდეს შესაბამისი საკანონმდებლო ბაზის შემუშავება ან/და გადასინჯვა. აღნიშნული კი

ხელს შეუწყობს შრომის უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის საერთაშორისო სტანდარტების დანერგვას.[56]

ყოველწლიურად დაახლოებით 270 მილ.უბედური შემთხვევა ფიქსირდება, რომელთაგან 350 ათასი სიკვდილითაა დამთავრებული. ამიტომ ღირსეული პირობებში შრომა ყველა ადამიანის უფლებაა. ამ პრინციპის გატარებისთვის აუცილებელი პირობაა შრომის ინსპექტირება, რაც წარმოადგენს ღერძს შრომის დაცვის სამინისტროსათვის. შრომის ინსპექტირების გაძლიერებას აქვს გადამწყვეტი მნიშვნელობა უზრუნველყოს შრომის დაცვის მაღალი სტანდარტები. ბევრ ქვეყანაში შრომის ინსპექტირება ასრულებს კატალიზატორის როლს ბევრ პროცესში, როცა საჭიროა შეიქმნას ურთირთობის სამმხრივი კულტურა. კანადის ერთ-ერთ პროვინცია ონტარიოში შრომის სამინისტრომ შრომის ინსპექტორთა რიცხვი 50%-ით გაზარდა. მათ სამუშაო ანაზღაურება კი ხდებოდა სადაზღვეო სააგენტოს მიერ, თანხამ 28 მილ. დოლარი შეადგინა წელიწადში. სავალდებულოა დაზღვევა ყველა დასაქმებული პირის, შესაბამისად მათი ჯანმრთელობის დაზისნების დროს სადაზღვეო კომპანიებს უწევდათ საკმაოდ სოლიდური თანხების გადახდა. შედეგი განსაცვიფრებელი იყო. ახლა ონტარიოში 9 ათასი ტრავმით ნაკლებია წელიწადში, სადაზღვეო სააგენტომ კი დაზოგა ამით 45 მილ. დოლარი მკურნალობის ხარჯებზე და დაზარალებულების კომპენსაციებზე. შრომის დაცვის მართვის სისტემის ძირითადი სტატისტიკური მაჩვენებლები -- მსოფლიოში შრომისუნარიანი მოსახლეობა 2,8 მილიარდი. უბედური შემთხვევების რიცხვი, რომელიც ფატალურად დასრულდა სამუშაო ადგილზე 2,2 მილიარდი. ჯანმრთელობის დაზიანება სამუშაოს შესრულებისას 270მილ. დაავადებები,რომლებიც სამუშაოს უკავშირდება 150მილ. ყოველწლიურად საწარმოში უბედური შეთვევის გამო და პროფესიული დაავადების გამო იღუპება 2 მილ ქალი და კაცი. ფიქსირდება 160 მილიონი პროფესიული დაავადების შემთხვევა. განვითარებად ქვეყნებში უბედური შემთხვევების, ტრავმებისა და პროფესიული დაავადებების შემთვევები ძირითადად თავმოყრილია მშეენებლობებზე, საწარმოებში, თევზჭერაში და ხე-ტყის წარმოებაში. წიგნიერების დაბალი დონე და უსაფრთხო შრომის არცოდნა ხშირად იწვევს სიკვდილიანობის დიდ მაჩვენებელს.[57]

დასაქმებულის ჯანმრთელობის დაცვა შრომის სამართლის ერთ-ერთი მთავარი დაცვის ობიექტია. შრომითსამართლებრივ ურთიერთობებში დასაქმებულის ჯანმრთელობის დაზღვევის ინსტიტუტის გამოყენება უდავოდ დასაქმებულის ინტერესების დაცვას ემსახურება. კარგი იქნება საქართველო თუ გაითვალისწინებს კანადის პრაქტიკას და აქტიურად მოხდება დაასქმებულთა ჯანმრთელობის და სიცოცხლის დაზღვევა. განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იქნება ეს ინსტიტუტი მშენებლობაზე მომუშავე პირებისთვის, რადგან ამ სექტორში სამწუხაროდ ძალიან ხშირია დასაქმებულთა ჯანმრთელობის დაზიანება.

---

[56] შრომითი უფლებების დაცვა, როგორც ევროპული ინტეგრაციის პოლიტიკის ნაწილი- განვითარების პერსპექტივები ასოცირების შეთანხმების, ვიზის ლიბერალიზაციის სამოქმედო გეგმისა და სოციალური ქარტიის ფარგლებში. ნათელა დვალი. 2016

[57] Labour inspection international labour organization gv-5-25

დასაქმებულთა ჯანმრთელობის დაზღვევას ასევე მნიშვნელოვანი როლი აქვს ამერიკის შეერტებულ შტატებშიც. გარდა იმისა, რომ უზრუნველოდილია დასაქმებულტა ჯანმრთელობა, მათი სამედიცინო მომსახურება და ზიანის ანაზღაურება. ეს ინსტიტუტი ასევე ხელს უწყობს, სამედიცინო მომსახურების განვიტარებას, რადგან დაინტერესებულ მხარეტა რაოდენობა გაიზარდა. სამედიცინო მომსახურების დრონით ინეტერსდება, როგორც დაზღვეული პირი, ასევე დამსაქმებელი და სადაზღვეო კომპანია, შესაბამისად უფრო მეტი ინტერესი და კონტოლია იმისათვის, რომ მომსახურება იყოს დაზღვევის ფასის შესაფერისი.[58]

„შრომის უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონი ითვალისწინებს შესაძლებლობას დასაქმებულებს ჰყავდეთ წარმომადგენლები, რომლებიც უზრუნველყოფენ მათი ინტერესების დაცვას, წარმომადგენლობას დამსაქმებლებთან ურთიერთობებში. წარმომადგენელს ირჩევენ თავად დასაქმებული პირები. წარმომადგენელი პირი შრომის უსაფრთხოების სპეციალისტთან და ზედამხედველობის ორგანოსთან, შრომის უსაფრთხოების საკითხებთან დაკავშირებით იცავს დასაქმებულთა ინტერესებს. შეუძლია შეამოწმოს სამუშაო ადგილზე შრომის უსაფრთხოების წესები რამდენად არის დაცული და საჭიროების შემთხვევაში, დარღვევის შესახებ აცნობოს დამსაქმებელს. გაიაროს კონსულტაციები დამსაქმებელთან და დასაქმებულებთან არსებული შრომის უსაფრთხოების წესების შეფასებაზე და წარუდგინოს ზედამხედველობის ორგანოს შენიშვნები. იმ შემთხვევაში თუ დამსაქმებელი არ მიიღებს შესაბამის ზომებს ხარვეზების აღმოსაფხვრელად, დასაქმებულთა წარმომადგენელს უფლება აქვს მიმართოს შესაბამის უწყებებს შესაბამისი რეაგირებისთვის.[59]

შრომის უსაფრთხოების სფეროში სახელმწიფო სტრატეგიას განსაზღვრავს საქართველოს მთავრობა. ამ კანონის მიზნებისათვის სამინისტრო უზრუნველყოფს საზედამხედველო ორგანოების მიერ შრომის უსაფრთხოების სფეროში საქართველოს კანონმდებლობის დაცვის კონტროლსა და მონიტორინგს, ანგარიშების მომზადებას უსაფრთხოების საკითხებთან დაკავშირებით. იქიდან გამომდინარე, რომ ყველა პრობლემის მთავარი საწყისი არის დასაქმებულთა ცოდნა თავიანთი უფლებების შესახებ შრომის უსაფრთხოების საკითხებზე, სამინისტრო აგრეთვე უზრუნველყოფს საზოგადოების ცნობიერების ამაღლებას, კვლევების ჩატარებას, საჭიროების შემთხვევაში სხვადასხვა ტრენინგის ჩატარების ორგანიზებას/ხელშეწყობას.

4.1.1 ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სსიპ ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტო.

[58] შრომის სამართალი (სტატიათა კრებული) 2011 მერიდიანი გვ. 159-175

[59] საქართველოს ორგანული კანონი შრომის უსაფრთხოების შესახებ

საერთაშორისო ვალდებულებების განსახორციელებლად საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრომ შექმნა მექანიზმი, რომელიც ამოწმებს შრომის პირობებს და ცდილობს ეტაპობრივად დაუახლოვდეს შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის სტანდარტებს. სწორედ ამ მიზნით 2015 წლის 5 თებერვალს საქართველოს მთავრობამ N38 დადგენილებით დაამტკიცდა „შრომის პირობების მონიტორინგის სახელმწიფო პროგრამა, რომლის მიზანია დაეხმაროს დამსაქმებელს ჯანსაღი და უსაფრთხო სამუშაო გარემოს შექმნაში [60]. 2016 წლის 18 იანვარს საქართველოს მთავრობამ მიიღო დადგენილება №19 ,,შრომის პირობების ინსპექტირების 2016 წლის სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ“ [61]. აღნიშნული პროგრამით ადრე არსებული მონიტორინგი შეიცვალა ინსპექტირების განხორციელებით, შესაბამისად, შრომის ინსპექტორები ახორციელებენ ობიექტებზე შრომის პირობების ინსპექტირებას. საქართველოს მთავრობის 2016 წლის 29 დეკემბერის №627 დადგენილებით განისაზღვრა 2017 წლის შრომის პირობების ინსპექტირების სამოქმედო პროგრამა, რომლის ძირითადი მიზნები და ამოცანები დარჩა უცვლელი[62].

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს დებულებაში 2015 წელს საქართველოს მთავრობის N81 დადგენილებით შევიდა ცვლილება, რომლის საფუძველზეც შეიქმნა შრომის პირობების ინპექტირების დეპარტამენტი. საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრომ შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის მხარდაჭერით განახორციელა საჭირო საკანონმდებლო ცვლილებები, რომლებიც შეესაბამება საერთაშორისო პრაქტიკას, რომლის მიხედვითაც ხორციელდება სახელმწიფო ზედამხედველობა. [63]

„შრომის უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით განსაზღვრულია ზედამხედველობის ორგანო, რომლის მიზანია უსაფრთხოების ნორმებიც დაცვის განხორციელება.[64] საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო ვალდებულია განახორციელოს მოსახლეობის შრომის და

---

[60] საქართველოს მთავრობის 2015 წლის 5 თებერვლის №38 დადგენილება

[61]საქართველოს მთავრობის დადგენილება №19 2016 წლის 18 იანვარი ქ. თბილისი შრომის პირობების ინსპექტირების 2016 წლის სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ

[62] საქართველოს მთავრობის დადგენილება №627 2016 წლის 29 დეკემბერი ქ. თბილისი შრომის პირობების ინსპექტირების 2017 წლის სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ გვ1-15

[63] საქართველოს შრომის, ჯამრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს შრომის პირობების ინსპექტირების დეპარტამენტის 2015-17წლების საქმიანობის შემაჯამებელი დოკუმენტი

[64] საქართველოს ორგანული კანონი შრომის უსაფრთხოების შესახებ 2019წ 19 თებერვალი. მე-3 მუხლი

ჯანმრთელობის დაცვა. ხელი უნდა შეუწყოს დასაქმებულთა შრომის უსაფრთხო პირობების დაცვას.[65]

განსაკუთრებული მნიშვნელობის ობიექტების მშენებლობის სახელმწიფო ზედამხედველობის სამმართველოს შეუძლია დაუბრკოლებლად შევიდეს მის ზედამხედველობას დაქვემდებარებულ სამშენებლო ობიექტზე და განახორციელოს შემოწმება, შეიმუშაოს დისკრიმინაციის აღმოსაფხვრელად რეკომენდაციები, ასევე განახორციელოს პრევენცია იძულებითი შრომის. დეპარტამენტი ხელს უწყობს შრომის უსაფრთხოების დაცვის მექანიზმების დანერგვას ორგანიზაციებში. ემსახურება ცნობიერების ამაღლებას, როგორც დამსაქმებლებში, ასევე დასაქმებულ პირებშიც. ამოწმებს და დარღვევების შემთხვევაში ობიექტებს განუსაზღვრავს კონკრეტულ დროს ხარვეზების აღმოსაფხვრელად, საჭიროების შემთხვევაში შეუძლია დამრღვევ პირს დააკისროს ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა. იმ შემთხვევაში თუ დარღვევა დაფიქსირდება, მზადდება დადგენილების პროექტი შესაბამისი სანქციის გამოყენების თაობაზე.[66]

სააგენტოს ერთ-ერთ მნიშნელოვან ფუნქციას წარმოადგენს ტრენინგებისა და კურსების ჩატარება, რომლის მიზანია პერსონალის გადამზადება და სწავლება. ეს ფუნქცია მნიშვნელოვანია იმ თვალსაზრისით, რომ სააგენტო ცდილობს სპეციალური ტრენინგებით ევროპულ სტანდარტებს დაუახლოვდეს, აამაღლოს ცნობიერება და ზედამხედველობა გახადოს უფრო ეფექტური. ბიზნეს-კომპანიებს და სააგენტოებს 2017 წელს ჩაუტარდათ ტრენინგები თემებზე: მშენებლობა და შრომის უსაფრთხოება[67].

საქართველოსა და ევროკავშირს შორის გაფორმებული ასოცირების ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების ფარგლებში 2017 წელს სამინისტრომ შეიმუშავა ტექნიკური რეგლამენტის პროექტი „სამშენებლო პროდუქტების შესახებ“. 2017 წლის ოქტომბერ-ნოემბერში სააგენტოში განხორციელდა ევროკაშირის მოკლევადიანი დახმარების პროექტი, რომლის ფარგლებშიც შემუშავდა რეკომენდაციები, რომლებიც მოიცავს სახელმძღვანელოებს/სამოქმედო ინსტრუქციებს, ინსპექტირების, ნიმუშების აღებისა და რისკის შეფასების პროცედურებს. 2017 წელს შემოწმებული მნიშვნელოვანი საზედამხედველო სამშენებლო ობიექტების სიაში შევიდა საცხოვრებელი კორპუსების მშენებლობები.

---

[65] საქართველოს მთავრობის დადგენილება №249 2005 წლის 31 დეკემბერი ქ. თბილისი მე-2 მე-3 მუხლი

[66] საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის ბრძანება №1-1/1527 2012 წლის 23 ივლისი ქ. თბილისი საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტოს დებულებაში ცვლილებები შეტანის თაობაზე საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის ბრძანება №1-1/584 2017 წლის 29 დეკემბერ.

[67] http://tacsa.gov.ge/uploads/1.3.__bf755bca.pdf

2017 წელს სააგენტომ შეიმუშავა მნიშვნელოვანი, მათ შორის, ევროდირექტივების შესაბამისი ტექნიკური რეგლამენტები, შემდეგ თემებზე: - შრომის უსაფრთხოება; - სიმაღლეზე სამუშაოების უსაფრთხოება; - შენობების ენერგოეფექტურობა.[68]

დეპარტამენტს შეუძლია შრომის კანონმდებლობისა და შრომის უსაფრთხოებასთან დაკავშირებული საკანონმდებლო და ნორმატიული აქტის პროექტის შემუშავებაში მონაწილეობა, დაინტერესებული პირებისათვის საქართველოს კანონმდებლობისა და მოქმედი ნორმატიული აქტების შესახებ კონსულტირების წარმოება. დეპარტამენტი უფლებამოსილია გასცეს რეკომენდაცია, შემოწმების შედეგად გამოვლენილი დარღვევების აღმოსაფხვრელად ორგანიზაციის ხელმძღვანელი პირისათვის, ტექნოლოგიურ პროცესებში ცვლილებების შეტანის შესახებ რეკომენდაციების შემუშავება, ინსპექტირებასთან დაკავშირებული საკითხების განხილვა, საჭიროებისამებრ, განხორციელდება სოციალური პარტნიორების ჩართულობითა და მონაწილეობით. დეპარტამენტი ვალდებულია ხელი შეუწყოს დამსაქმებელთა და დასაქმებულთა ცნობიერების ამაღლებას მოქმედი შრომითი კანონმდებლობის, შრომისა და ჯანმრთელობის უსაფრთხოებასთან დაკავშირებული ნორმების დაცვაზე.[69]

დეპარტამენტი უფლებამოსილია განახორციელოს „შრომის უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს კანონით საზედამხედველო ორგანოს ფუნქციებისა და უფლებამოსილებები, მათ შორის, შრომის უსაფრთხოების სფეროში საქართველოს კანონმდებლობის დაცვის კონტროლი და მონიტორინგი.[70]

სამინისტროს შრომის პირობების მონიტორინგის განმახორციელებელი პირების გადამზადებაში აქტიურად უჭერს მხარს შრომის საერთაშორისო ორგანიზაცია (ILO) და სამუშო ადგილზე ჯანსაღი და უსაფრთხო შრომის პირობების ევროპული სააგენტო (EU-OSHA). მათი ორგანიზებით დეპარტამენტის თანამშრომლებს ჩაუტარდათ სპეციალური ტრენინგები. მათ შორის: სამშენებლო სექტორში დასაქმებულთა შრომითი უსაფრთხოების შესახებ, სამუშაო ადგილზე ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების დაცვის სისტემები, რისკების შეფასების შესახებ, შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის სტანდარტი ILO-2001; საწარმოო

---

[68] ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტოს საქმიანობის შესახებ წლიური ანგარიში 2017

[69] საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ბრძანება №01-10/ნ 2015 წლის 21 აპრილი ქ. თბილისი ,,საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სტრუქტურული ქვედანაყოფების დებულებების დამტკიცების შესახებ'' საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2015 წლის 6 იანვრის №01-1/ნ ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

[70] საქართველოს მთავრობის დადგენილება №473 2018 წლის 14 სექტემბერი ქ. თბილისი საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ

ტრავმატიზმი და უბედური შემთხვევების გამოკვლევა, დოკუმენტირება, ანაზღაურება; პერსონალის სწავლება და ინსტრუქტაჟის შესხებ, შრომის სერთაშორისო ორგანიზაციის სტანდარტების შესახებ სამშენებლო სექტორში შრომისა და ჯანმრთელობის უსაფრთხოების შესახებ, მშენებლობაზე ინსპექტირების ჩატარების შესახებ. [71]

ინსპექტირება/მონიტორინგის დეპარტამენტის მიერ განხორციელდა შემოწმება 2015 წლის მეორე ნახევრიდან 2017 წლის ბოლომდე პერიოდში. სულ შემოწმდა 583 ობიექტი. აქედან 73 იყო სამშენებლო ობიექტი. გამოვლენილია შემდეგი სახის დარღვევები: არ არის დაცული სახანძრო უსაფრთხოების წესები, არ არის განთავსებული საევაკუაციო გეგმა, საწაროები არ ახორციელებენ ტრავმატიზმის აღრიცხვას, ელექტროუსაფრთხოება არ არის დაცული, დარღვეულია სანიტარიულ ჰიგიენურ ნორმები, საფრთხის შემცველ ნითიერებებთან დაკავშირებული პირები არ გადიან სავალდებულო პერიოდულ სამედიცინო შემოწმებას. სამშენებლო ობიექტებზე არ ხდება ინტენსიურად ინდივიდუალური დამცავი საშუალებების გამოყენება, როგორებიცაა: ჩაფხუტი, ხელთათმანი. ასევე თვალისა და სახის დამცავი საშუალებები, სხეულის დამჭერი ქამრები, ჩამოვარდნის პრევენციისთვის შექმნილი საშუალებები, ჩამოვარდნის აღმკვეთი აღჭურვილობა. კოლექტიური დაცვის საშუალებებზე: სამუშაო ბაქნებზე, კიბის უჯრედებზე მოაჯირის არარსებობა, გაუმართავი სავენტილაციო სისტემა. ობიექტებზე არ არის დანიშნული შრომის უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირი, რომელიც მოახდენდა საფრთხეების იდენტიფიცირებასა და რისკების შეფასებას. უსაფრთხოების წესების სწავლების მიზნით ობიექტებზე არ ტარდება შესაბამისი სწავლება/ტრენინგი შრომის უსაფრთხოების შესახებ. ხდება კუსტარული დანადგარების აღჭურვილობისა და ინსტრუმენტების გამოყენება, მაგ: კიბე,ხარაჩო.[72]

,,საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სტრუქტურული ქვედანაყოფების დებულებების დამტკიცების შესახებ" საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2015 წლის 6 იანვრის №01-1/ნ ბრძანების მუხლი 2, პირველი პუნქტის ,,ა,, და ,,ა.გ.,, ქვეპუნქტების შესაბამისად დეპარტამენტის ფუნქციაში შევიდა ორგანიზაციაში მომხდარი უბედური შემთხვევების გამოკვლევა და აღრიცხვა. მოკვლეულ იქნა უბედური შემთხვევებისა და საწარმო ინციდენტების რაოდენობა 2016-17 წლებში. ვინაიდან ვალდებულება არ ჰქონდათ საწარმოებს აღნიშნული შემთხვევების შესახებ ეცნობებინათ დეპარტამენტისთვის, საჭირო გახდა ინფორმაციის მოძიება.

[71] საქართველოს შრომის, ჯამრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს შრომის პირობების ინსპექტირების დეპარტამენტის 2015-17წლების საქმიანობის შემაჯამებელი დოკუმენტი გვ1-15

[72] საქართველოს შრომის, ჯამრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს შრომის პირობების ინსპექტირების დეპარტამენტის 2015-17წლების საქმიანობის შემაჯამებელი დოკუმენტი გვ15-26

სტატისტიკის მიხედვით სამუშაო ადგილზე დაღუპულთა და დაშავებულთა ყველაზე დიდი რაოდენობა ნაწილდება მშენებლობის სექტორზე. ინფორმაცია მოძიებულ იქნა 7 განსხვავებულ სექტორზე აქედან დაღუპულთა 52% და დაშავებულთა 52.2% შემთხვევებისა ნაწილდება მშენებლობებზე. მოკვლევის შედეგებით იკვეთება, რომ უბედური შემთხვევები ხშირ შემთხვავაში უკავშირდება სამშენებლო ობიექტებზე არსებულ სისტემურ მიზეზებს, კერძოდ სამშენებლო ობიექტებზე დამცავი მოაჯირები არ არის დამონტაჟებული ყველგან, სადაც არსებობს სიმაღლიდან ვარდნის საფრთხე, ან არ შეესაბამება საქართველოს მთავრობის N477 დადგენილებით დამტკიცებულ ,,სიმაღლეზე მუშაობის უსაფრთხოების შესახებ" ტექნიკურ რეგლამენტის მოთხოვნებს დამცავი მოაჯირების მოწყობისა და ექსპლუატაციის მიმართ; ხარაჩოები მოუვლელია, მასში გამოყენებული ლითონის დეტალები გაცვეთილია და დეფექტები გააჩნია, საყრდენი ბოძები მყარად არაა დამაგრებული ნიადაგზე, პლატფორმის ასაგებად გამოყენებული ფიცრები არ არის მყარად დამაგრებული შემაკავშირებელ კოჭებზე ან ბოძებზე, არ არის გამყარებული საბჯენი და ჯვარედინი ბოძებით; დაკიდული ხარაჩოების საბჯენ ბოძებთან მაბალანსირებელი ტვირთი მყარად არ არის დამაგრებული; უსაფრთხოების ბადეები დეფექტიანია. ამასთანავე, აღსანიშნავია, რომ არ ხდება ინდივიდუალური საშუალებების ეფექტური გამოყენება (დამცავი ღვედები). 2006-2016 წლების მონაცემების დამუშავებით დადგინდა, რომ 12 განსხვავებული სექტორიდან სამუშაო ადგილზე დაღუპულთა და დაშავებულთა რაოდენობის მხრივ ლიდერობს სამშენებლო სექტორი. წელიწადში საშუალოდ 100-150 ადამიანი შავდება და იღუპება სამუშაოს შესრულებისას.[73]

აღმნიშნული სტატისტიკა ცხადყოფს ,რომ საქართველოს მიერ განხორციელებული რეფორმები უსაფრთხო და ჯანსაღი სამუშაო გარემოს შექმნისთვის არ იყო საკმარისი, რადგან არ არის შემცირებული სამუშაოს შესრულების დროს დაღუპულთა და დაშავებულთა რაოდენობა. დეპარტამენტი აღნიშნულ შემთხვევებში შემოიფარგლებოდა მხოლოდ რეკომენდაციებით, სწორედ ეს არის მთავარი პრობლემა. მხოლოდ რეკომენდაციების შემუშავება და მითითებების მიცემა საწარმოებისთვის არ იყო საკმარისი. მიუხედავად იმისა, რომ ტარდებოდა განმეორებითი რევიზია იმ ობიექტების, რომელთა მიმართაც შემუშავებული იქნა რეკომენდაციები. ეს არის ყველაზე მცირე, რაც შეიძლება გაკეთდეს ამ პრობლემის მოსაგვარებლად. უმჯობესი იქნება აღნიშნული რეკომენდაციები თუ მიეცემათ საწარმოებს ნებართვის გაცემის დროს და მშენებლობის დწყებისთანავე, რათა მზად იყვნენ მოსალოდნელი საფრთხეებისთვის და მაქსიმალურად მოახდინონ პრევენცია ყველანაირი მოსალოდნელი საფრთხის.

---

[73] საქართველოს შრომის, ჯამრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს შრომის პირობების ინსპექტირების დეპარტამენტის 2015-17წლების საქმიანობის შემაჯამებელი დოკუმენტი გვ 29-37

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ მოწოდებული ინფორმაციის მიხედვით შრომის პირობების ინსპექტირების დეპარტამენტი მომეტებული საფრთხის შემცველი, მძიმე, მავნე და საშიშპირობებიან სამუშაოებზე, სასამართლო ბრძანების გარეშე, ახორციელებს კონტროლს „შრომის უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 24-ე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად 2019 წლის 1 სექტემბრამდე.

ა) ზედამხედველი ორგანოს მიერ შრომის უსაფრთხოების ნორმების დაცვის შემოწმებაზე არ ვრცელდება „სამეწარმეო საქმიანობის კონტროლის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის მოთხოვნები, თუ შემოწმება ხორციელდება:

ა.ა) შერჩევითი კონტროლით კალენდარული წლის განმავლობაში ერთხელ;

ა.ბ) განმეორებითი შემოწმების მიზნით გონივრული ვადის ფარგლებში;

ა.გ) სამუშაო სივრცეში უბედური შემთხვევის დროს;

შერჩევითი კონტროლის წესი და პირობები დადგენილია საქართველოს მთავრობის N382 დადგენილებით „მომეტებული საფრთხის შემცველ, მძიმე, მავნე და საშიშპირობებიან სამუშაოებზე შრომის უსაფრთხოების ნორმების დაცვის შემოწმებისას შერჩევითი კონტროლის წესისა და პირობების განსაზღვრის თაობაზე“.[74]

ასევე სამინისტრომ მომაწოდა ინფორმაცია ზედამხედველობის დეპარტამენტის მიერ ჩატარებული სტატისტიკის შესახებ, რომლის მიხედვითაც წარდმოგენილია 2015 წლიდან 2019 წლის აპრილის თვის ჩათვლით სამშენებლო მოედნებზე დაღუპულთა და დაშავებულთა რაოდენობა ცხრილის სახით.

„შრომის უსაფრთხოების შესახებ“ ორგანული კანონის მე-18 მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით შეიძლება გამოყენებულ იქნეს შემდეგი ადმინისტრაციული სახდელები: ა) გაფრთხილება; ბ) ჯარიმა; გ) სამუშაო პროცესის შეჩერება.

კრიტიკული შეუსაბამობის აღმოჩენის შემთხვევაში გამოიყენება სამუშაო პროცესის შეჩერება, ხოლო სხვა შემთხვევაში გაიცემა მითითება, დარღვევის გონივრულ ვადაში გამოსწორების თაობაზე. საქართველოს ორგანული კანონის „შრომის უსაფრთხოების შესაბამისად“ შრომის პირობების ინსპექტირების დეპარტამენტის მიერ მიმდინარე ეტაპზე შემოწმდა 36 სამშენებლო ობიექტი. შემოწმებული ობიექტებიდან 32 ობიექტს

[74] საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს წერილი N1/9074 21 / მაისი / 2019 წ

შეუჩერდა სამუშაო პროცესი გამოვლენილი დარღვევების აღმოფხვრამდე. ადმინისტრაციული სახდელის სახით გამოყენებულ იქნა ჯარიმა 1000-დან 14 000 ლარის ოდენობით. [75]

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს შრომის პირობების ინსპექტირების დეპარტამენტის მიერ განხორციელებული ზედამხედველობის პროცესში გამოვლენილი შემთხვევები. 2015 წლიდან 2019 წლის აპრილის თვის ჩათვლით სამშენებლო მოედნებზე დაღუპულთა და დაშავებულთა რაოდენობა იხილეთ ცხრილში.[76]

	დაღუპული	დაშავებული
2015წ	14	22
2016წ	18	23
2017წ	17	22
2018წ	16	17
2019წ(აპრილის ჩათვლით)	11	12

4.1.2 ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ინსპექცია

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ინსპექცია წარმოადგენს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სტრუქტურული ერთეულს, რომელიც დადგენილი წესით ახორციელებს ზედამხედველობას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მშენებლობის, ქალაქის გარე იერსახის, გარე რეკლამის, გარე ვაჭრობის, გარემოსა და ბუნებრივი რესურსების, ასევე ხმაურის ნორმების დაცვაზე.[77]

ინსპექციის ფუნქციები და უფლება-მოვალეობები განზაზღვრულია დებულებით.

[75] საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტრო წერილი N 01/9074 21.05.2019
[76] საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტრო წერილი N 01/9074 21.05.2019
[77] http://tbilisi.gov.ge/page/47

მუნიციპალური ინსპექციის ფუნქციებია: სამშენებლო საქმიანობის დადგენილი წესების დარღვევის ფაქტების გამოვლენა, დარღვევით მშენებარე ობიექტების შეჩერება ან/და დემონტაჟი, საჯარიმო სანქციების გამოყენება; მშენებარე, რეკონსტრუქციაში მყოფი, ლანდშაფტური და მცირე არქიტექტურული ფორმების ინსპექტირება; დასრულებული ობიექტების ექსპლუატაციაში მიღება და შესაბამისი აქტის გამოცემა;სამშენებლო სამუშაოების წარმოების წესების დაცვაზე კონტროლის დაწესება.[78]

მუნიციპალური ინსპექცია უფლებამოსილია კანონმდებლობით დადგენილი წესით შევიდეს და განახორციელოს ინსპექტირება,რომლის დროსაც უფლება აქვს მოითხოვოს საჭირო საბუთები ფიზიკური ან/და იურიდიული პირისაგან, შეამოწმოს რამდენაც არის დაცული სამშენებლო ნორმები. იმ შემთხვევაში თუ გამოვლენილი იქნება ხარვეზი, ინსპექცია უფლებამოსილია განუსაზღვროს ხარვეზის აღმოფხვრის ვადები ინსპექტირების ობიექტს. ამ პროცესსში დგება ინსპექტირების ოქმი. იმ შემთხვევაში, თუ გამოვლინდება ადმინისტრაციული სამართალდარღვევა, შედგება ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმი. ინსპექციას აქვს უფლება დარღვევის შემთხვევაში გამოიყენოს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი პასუხისმგებლობის ზომები. საჭიროების შემთხვევაში, თუ ინსპექციის განმახორციელებელ პირს ჭირდება სპეციალური ცოდნა კონკრეტული საკითხის შესაფასებლად, მას შეუძლია მოიწვიოს კონკრეტული საკითხის სპეციალისტები. ასევე, საჭიროებისამებრ შეუძლია გამოიყენოს სპეციალური აპარატურა საქმიანობის განსახორციელებლად. მუნიციპალური ინსპექცია ვალდებულია აუცილობლობის შემთხვევაში სამშენებლო საქმიანობის განმახორციელებელ პირებს მოსთხოვოს საქმიანობის შეჩერება და შენობის დემონტაჟიც კი.[79]

მუნიციპალური ინსპექცია შედგება სტრუქტურლი ქვედანაყოფებისგან. მათ შორის ერთ-ერთია სამშენებლო კონტროლისა და ექსპლუატაციის განყოფილება.[80]

სამშენებლო კონტროლისა და ექსპლუატაციის განყოფილება უზრუნველყოფს დასრულებული ობიექტების შემოწმებას, რამდენად შესაბამისობაშია ის საპროექტო-სანებართვო დოკუმენტაციასტან, ასევე ამოწმებს ხომ არ არის გამოვლენილი რაიმე დარღვევა. შემოწმების შემდეგ კი იღებს გადაწყვეტილებას შენობა-ნაგებობათა ექსპლოატაციაში მიღების შესახებ.[81]

---

[78] ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილება №28-94 2018 წლის 25 სექტემბერი ქ. თბილისი ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ინსპექციის დებულების დამტკიცების შესახებ. მე-2 მუხლი.
[79] მე-3 მუხლი.
[80] მე-6 მუხლი.
[81] მე-7 მუხლი.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიიდან მიღებული ინფორმაციის მიხედვით სამსახურის მიერ უსაფრთხოების კონტროლი ხორციელდება ასევე მთავრობის 2014 წლის 27 მაისის N361 დადგენილებით დამტკიცემული „მშენებლობის უსაფრთხოების შესახებ ტექნიკური რეგლამენტი“-სა და „სიმაღლეზე მუშაობის უსაფრთხოების მოთხოვნების შესახებ ტექნიკური რეგლამენტით“ განსაზღვრული პირობების მიხედვით. ასევე მოწოდებული ინფორმაცია შეეხება სანქციებს. მაგ: საქართველოს კანონის „პროდუქტების უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი“-ის 49-ე მუხლის „ა“ პუნქტით, მშენებლობის უსაფრთხოების წესების დარღვევისთვის განსაზღვრული 3000 ლარიანი ჯარიმა, 2018 წლის 21 მარტს განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილებების საფუძველზე გაიზარდა და გახდა 30000 ლარი.[82]

ასევე წარმოდგენილი 2018 წლის სტატისტიკის მიხედვით სამსახურმა დაიწყო საქმის წარმოება 69 ობიექტზე,საიდანაც სამსახურის დადგენილებით დაჯარიმდა 38. [83] სტატისტიკა ცხადყოფს, რომ მდგომარეობა არის საკმაოდ საგანგაშო, რადგან შემოწმებული ობიექტების ნახევარზე მეტს აღმოაჩნდა სხვადასხვა სახის დარღვევა, დარღვევების აღმოფხვრის გარეშე კი შეუძლებელია უსაფრთხო სამუშო გარემოს შექმნა, რასაც წარმოადგენს ჩვენი მიზანი.

4.1.3 საჯარო სამართლის იურიდიული პირი – ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტო

საქართველოს კანონი პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსის ერთ-ერთ მიზანს წარმოადგენს სამშენებლო საქმიანობის განხორციელების უზრუნველყოფა სამშენებლო სფეროს ტექნიკური რეგლამენტებითა და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების სრული დაცვით. მე-4 თავის რეგულირების სფეროში შედის ტექნიკური საფრთხოს კონტროლი მშენებლობებზეც, რომელზე ზედამხედველობასაც ახორციელებს საჯარო სამართლის იურიდიული პირი – ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტო. ინსპექტირება – ბაზარზე ზედამხედველობის მიზნით ობიექტის საქართველოს კანონმდებლობითა და ტექნიკური რეგლამენტით დადგენილ

[82] ქ.თბილისის მერიის მუნიციპალური ინსპექციის წერილი N17-01191362159
[83] ქ.თბილისის მერიის მუნიციპალური ინსპექციის წერილი N17-01191362159

მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასების პროცესი, რომელიც ხორციელდება ტექნიკური ინსპექტირების, დოკუმენტური კონტროლისა და მშენებლობის სახელმწიფო-ტექნიკური ზედამხედველობის ფორმებით. ტექნიკური ინსპექტირება ნიშნავს ობიექტის ადგილზე შემოწმებას,რაც ასევე მოიცავს მოიცავს ასევე ობიექტის ტექნიკურ დოკუმენტებთან შესაბამისობის დადგენას. სააგენტო ახორციელებს დოკუმენტურ კონტროლს, მათ შესწავლას, ანალიზს და სათანადო რეაგირებებს ახდენს. სამშენებლო საქმიანობაზე სახელმწიფო ზედამხედველობის ორგანოები – საჯარო სამართლის იურიდიული პირი – ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტო, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების აღმასრულებელი ხელისუფლების უფლებამოსილი დაწესებულებების სამშენებლო საქმიანობაზე სახელმწიფო ზედამხედველობის ორგანოები და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების სამშენებლო საქმიანობაზე ზედამხედველობის უფლებამოსილი ორგანოები.[84]

ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტო არის საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სისტემაში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირი, რომელიც სახელმწიფო მაკონტროლებელი ორგანოა და ამ კოდექსით დადგენილი წესით ახორციელებს ობიექტების სახელმწიფო კონტროლს და ზედამხედველობას. შეიმუშავებს სამშენებლო-საპროექტო ნორმებს, წესებს, ტექნიკურ რეგლამენტებსა და სტანდარტებს მისი კომპეტენციისთვის მიკუთვნებულ სფეროებში. სააგენტოს ფუნქციაა განახორციელოს საქართველოს მთელ ტერიტორიაზე სახელმწიფო ზედამხედველობა. უზრუნველყოფს მშენებლობის ნებართვის გაცემისა და დასრულებული მშენებლობის ექსპლოატაციაში მიღების პროცესში სხვა ადმინისტრაციული ორგანოს ჩართვას. შეუძლია შეაჩეროს საქართველოს კანონმდებლობის დარღვევით მიმდინარე უნებართვო მშენებლობა ან დემონტაჟი. შეჩერების მიზეზი შიძლება იყოს მშენებლობის მონაწილეთა მიერ მშენებლობის უსაფრთხოებისა და შენობა-ნაგებობის საექსპლუატაციო საიმედოობის დაცვა. შემოწმების დროს შეუძლია მოითხოვოს ნებისმიერი დოკუმენტაცია, რაც დაკავშირებულია მშენებლობის პროექტთან, ნებართვასთან, სამშენებლო მასალებთან, რათა დააადგინოს რამდენად არის შესაფერისი მასალები მშენებლობის სტანდარტებთან. ტექნიკური ინსპექტირება ხორციელდება ინსპექტირების შესახებ ტექნიკური რეგლამეტის მიხედვით გათვალისწინებული პერიოდულობით, თუმცა გარდა ამისა ინსპექტირება ტარდება უბედური შემთხვევის დროს, რომელსაც მოჰყვა ადამიანის ჯანმრთელობის

[84] საქართველოს კანონი პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი

მნიშვნელოვანი დაზიანება ან სიკვდილი, სამშენებლო საქმიანობაზე სანებართვო პირობების შესრულების შემოწმებისას.[85]

ტექნიკურ ინსპექტირებას ახორციელებს ინსპექტირების ორგანო ობიექტის ადგილზე შემოწმების ფორმით. უბედური შემთხვევის დროს, რომელსაც მოჰყვა ადამიანის ჯანმრთელობის მნიშვნელოვანი დაზიანება ან სიკვდილი, სამშენებლო საქმიანობაზე სანებართვო პირობების შესრულების შემოწმებისას გამოვლენილი არსებითი შეუსაბამობის ან კრიტიკული შეუსაბამობის არსებობის შესახებ დაუყოვნებლივ ატყობინებს ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტოს.[86]

სამშენებლო საქმიანობაზე სახელმწიფო ზედამხედველობის შესაბამისი ორგანოები და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს შრომის პირობების ინსპექტირების დეპარტამენტი ახორციელებენ ტექნიკური რეგლამენტის მოთხოვნების შესრულებაზე ზედამხედველობას და კონტროლს უფლებამოსილების ფარგლებში.[87]

2017 წელს სააგენტოს მიერ გამოწერილი სამშენებლო ჯარიმების საერთო რაოდენობა შეადგენს მილიონზე მეტს - 1 015200 ლარს. აქედან უკვე გადახდილია 368 600 ლარი. ექსპლუატაციაში შევიდა 64 ობიექტი, ინსპექტირება ჩაუტარდა 108 სამშენებლო ობიექტს, დაჯარიმდა 75 სამშენებლო ობიექტი.

ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტო ობიექტის შემოწმებისას განსაზღვრავს დარღვევის სიმძიმეს, არსებითი შეუსაბამობის შემთხვევაში აჯარიმებს ობიექტის მფლობელს და განუსაზღვრავს ვადას ხარვეზის გამოსასწორებლად, იმშემთხვევაში თუ აღნიშNულ ვადაში ხარვეზის აღმოფხვრა არ მოხდება დარღვევა იძენს კრიტიკული შეუსაბამობის სტატუს. რომლის დროსაც უკვე ხდება ობიექტის ექსპლოატაციის ნაწილობრივი ან სრული შეცერება, მფლობელის დაჯარიმება და დარღვევის გამოსასწორებლად ახალი ვადის განსაზღვრა. ეს ყველაფერი კი აისახება ობიექტის უწყებრივ რეესტრში. დარღვევის აღმოფხვრის შემდეგ სააგენტოა უფლებამოსილი გადაწყვიტოს ობიექტის ექსპლოატაციის განახლების შესახებ. შეიძლება ითქვას ,რომ ჯარიმა ყველაზე ხშირი საშუალებაა სანქციის. გადაუხდელობის შემთხვევაში მისი რაოდენობა პირველ ეტაპზევე სამმაგდება. ასევე

---

[85] საქართველოს კანონი პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი
[86] იქვე 21-ე მუხლი
[87] საქართველოს მთავრობის დადგენილება №98 2019 წლის 19 თებერვალი ქ. თბილისი „სიმაღლეზე მუშაობის უსაფრთხოების მოთხოვნების შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 27 ოქტომბრის №477 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

გათვალისწინებულია ჯარიმა იმ შემთხვევებისთვის, როდესაც ობიექტის მფლობელი არ ატარებს საჭირო ისპექტირებას .სააგენტოს შესაძლოა მიმართოს ობიექტის მფლობელმა და მოითხოვოს ინსპექტირების ჩატარება. ასეთ შემთხვევაში სააგენტო ვალდებულია მოახდინოს შესაბამისი რეაგირება, რასაც არეგულირებს საქართველოს კანონი პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი. სამშენებლო სამართალდარღვევისათვის გათვალისწინებული ჯარომა დამრღვევმა უნდა გადაიხადოს 30 დღის ვადაში, წინააღმდეგ შემთხვევაში ჯარიმას დაემატება საურავი, რომლის ოდენობაც განისაზღვრება დაჯარიმების შესახებ დადგენილებით. ობიექტის მფლობელის მიერ შეუსაბამობის გამოსწორების ვადის დარღვევა ჯარიმდება 1 000 ლარით. [88]

გათვალისწინებულია სხვადასხვა სახის დარღვევებზე ჯარიმები მაგ: შენებარე ობიექტის დადგენილი წესის დარღვევით მიტოვება,ობიექტზე საინფორმაციო დაფის განუთავსებლობა ან საინფორმაციო დაფაზე არასრული ინფორმაციის განთავსება და სხვა. მათ შორის არის მშენებლობაზე უსაფრთხოების წესების დარღვევა, რომელიც იწვევეს დამრღვევის დაჯარიმებას სხვადასხვა რაოდენობის თანხით. თვითმმართველ ქალაქში ჯარიმის რაოდენობა არის 500ლარი, მუნიციპალიტეტის დასახლებაში – ქალაქში 200, ხოლო მუნიციპალიტეტის დასახლებაში – დაბაში ან სოფელში 50ლარი. [89]

სწორედ აქ იკვეთება მტავარი პრობლემა შრომის უსაფრთხოების მოწესრიგებაში. მიუხედავად იმისა , რომ არაერთი კანონი და დებულება არსებობს რაც არეგულირეს შრომის უსაფრთხოების დაცვას, უსაფრთხო და ჯანსაგი სამუშაო გარემოს შექმნას, რათქმა უნდა ეს ყველაფერი საკამრისი არ არის რადგან სანქციები ართუ საკმარისი შეიძლება ითქვას უმნიშვნელოც კია. მიუხედავად იმისა,რომ მშენებლობაზე შრომის უსაფრთხოების წესეის დაცვა ემსახურება ადამიანის ჯანმრთელობის და სიცოცხლის უფლები დაცვას, აღნიშნული წესების დარღვევა იწვევს უმნიშვნელო რაოდენობის თანხით დაჯარიმებას დამრღვევი პირის. შესაბამისად ობიექტის მფლობენ პირები უპირატესობას ანიჭებენ ეკონომიის გაკეთებას ისეთ საკითხებზე, როგორებიცაა სპეციალური აღჭურვილობის შეძენა, შემოწმება, დამცავი საშუალებების დამონტაჟება. აღნიშნული წესების დარღვევის გამო გადახდილი ჯარიმა მათ ბევრად ნაკლებ ზიანს აყენებს. შესაბამისად სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია ჯარიმის რაოდენობა საგრძნობლად გაიზარდოს. გაურკვეველია რატომ არის განსხვავებული რაოდენობა აჯრიმების დასახლებული პუნქტების მიხედვით, რატომ ხდება საფრთხის შეფასება განსხვავებულად ქალაქსა და სოფელში,როდესაც შედეგი და

[88] საქართველოს კანონი პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი
[89] იქვე 48-50 მუხლები

მოსალოდნელი საფრთხე ერთნაირია. ყველა შემტხვევაში საფრთხე ექმენება ყველაზე დიდ სამართლებრივ სიკეთეს.

4.2 მშენებლობაზე შრომის უსაფრთხოების წესების დარღვევის გამო პასუხისმგებლობა

საქართველოს კანონი პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი. შრომის უსაფრთხოების წესების დამრღვევ პირს დაჯარიმება არ ათავისუფლებს დარღვევის გამოსწორების ვალდებულებისაგან და დარღვევით მიყენებული ზიანის ანაზღაურებისაგან. შესაბამისი თვითმმართველი ერთეულის უფლებამოსილი ორგანო მას შემდეგ რაც გამოყენებული იქნება ჯარიმა სანქციის სახით და არ მოხდება მისი გადახდა დადგენილ 30 დღიან ვადაში და მას დაერიცხება საურავები, ადმინისტრაციულ ორგანოს უფლება აქვს საქართველოს კანონმდებლობის დარღვევით მშენებარე ობიექტის მიწის ნაკვეთზე ყადაღის დადების მიზნით მიმართოს სასამართლოს. დარიცხული დავალიანების სრულად დაფარვისთანავე გაუქმდება ყადაღა,ხოლო გადაუხდელობის შემთხვევაში ქონება გადის აუქციონზე.[90]

შრომის კოდექსი ასევე აკისრებს პასუხიზმგებლობას დამსაქმებელს და მას ავალდებულებს სრულად აუნაზრაუროს ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესებით მიყენებული ზიანი, რომელიც მიადგა დასაქმებულს სამუშაოს შესრულების პროცესში. დამსაქმებელი ვალდებულია დაფაროს მკურნალობის ხარჯები სრულად.[91]

იმ პირმა, რომელიც ვალდებულია, აანაზღაუროს ზიანი, უნდა აღადგინოს ის მდგომარეობა, რომელიც იარსებებდა, რომ არ დამდგარიყო ანაზღაურების მავალდებულებელი გარემოება; თუ სხეულის დაზიანებით ან ჯანმრთელობისათვის ვნების მიყენების შედეგად დაზარალებულს წაერთვა შრომის უნარი ან შეუმცირდა იგი, ანდა იზრდება მისი მოთხოვნილებები, დაზარალებულს უნდა აუნაზღაურდეს ზიანი ყოველთვიური სარჩოს გადახდით; დაზარალებულს უფლება აქვს მკურნალობის ხარჯები მოითხოვოს წინასწარ. იგივე წესი მოქმედებს მაშინაც, როცა აუცილებელი ხდება პროფესიული გადამზადება; სარჩოს ნაცვლად დაზარალებულს შეუძლია მოითხოვოს კომპენსაციის მიღება, თუ არსებობს საამისო მნიშვნელოვანი საფუძველი.[92]

---

[90] საქართველოს კანონი პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი 53-54
[91] საქართველოს ორგანული კანონი საქართველოს შრომის კოდექსი 35
[92] უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება, საქმე №ას-1295-1215-2017

საკასაციო პალატამ განმარტა სარჩოს გადაანგარიშების პერიოდის ასაკობრივი შეზღუდვის მართლზომიერება და ყურადღება მიაქცია იმაზე, რომ სარჩოს მიღების უფლების ხანგრძლივობა პირდაპირ, პროპორციულად დაკავშირებულია დაზარალებულის მხრიდან ხელფასის მიღების შესაძლებლობასთან. სარჩოს ანაზღაურების მავალდებულებელი გარემოების დადგომა, პირს ართმევს შესაძლებლობას, ჰქონდეს სამუშაო და იღებდეს შესაბამის შრომით ანაზღაურებას. სარჩოს მიღებით ხდება პირისათვის შემოსავლის მიღების უზრუნველყოფა ზიანის არარსებობის პირობებში შესაძლო შრომის ანაზღაურების შესაბამისად. თავად ის გარემოება, რომ, ჯანმრთელობის დაზიანების გამო, მოსარჩელემ დაკარგა სამუშაო და შესაბამისი ანაზღაურების მიღების შესაძლებლობა, თავის მხრივ, წარმოშობს საფუძვლიან და კანონიერ ვარაუდს იმასთან დაკავშირებით, რომ ზიანის არარსებობის პირობებში, მუშაკი განაგრძობდა მუშაობას და მიიღებდა ხელფასს. თუმცა განუსაზღვრელი ვადით სარჩოს დაწესება, თავისთავად არ გულისხმობს სარჩოს უვადოდ გადახდის ვალდებულებას. სარჩოს ოდენობა უნდა განისაზღვროს იმ ოდენობით, რა ოდენობითაც სარჩოს მოთხოვნაზე უფლებამოსილი პირი მიიღებდა ხელფასს ზიანის ანაზღაურების მავალდებულებელი გარემოება რომ არ დამდგარიყო.[93]

უზენაესი სასამართლოს მნიშვნელოვან განმარტებებში არის ასევე საკითხები,რომლებიც ეხება საწარმოო ტრავმას და ზიანის ანაზღაურებას. დამსაქმებელი ვალდებულია აანაზღაუროს ზიანი, რომელიც მიადგა დასაქმებულის ჯანმრთელობას შრომითი მოვალეობის შესრულებისას, თუ ზიანი გამოწვეულია დამსაქმებლის ბრალეული მოქმედებით. შრომის კოდექსი ითვალისწინებს ზიანის ანაზღაურების ვალდებულებას ასეთი მოქმედებისათვის, თუ არ არის გასული მოთხოვნის წარდგენის სამოქალაქო კოდექსით დადგენილი ხანდაზმულობის ვადა. დელიქტით გამოწვეული ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლების ხანდაზმულობის ვადა არის სამი წელი იმ მომენტიდან, როცა დაზარალებულმა შეიტყო ზიანის ან ზიანის ანაზღაურებაზე ვალდებული პირის შესახებ[94].თავად ზიანის ანაზღაურების მიზნიდან გამომდინარე, რომლის არსი სწორედ დაზარალებულის კომპენსირებაში მდგომარეობდა, მნიშვნელოვანია ის მისაღები შემოსავალი, რომელიც დაზარალებულს გააჩნდა ზიანის დადგომამდე ორგანიზაციაში მუშაობისას და ზიანის დადგომის შემდგომი პერიოდი, როდესაც, შრომის უნარის შეზღუდვის გამო, დაზარალებული ვეღარ ახერხებდა მუშაობას და, ამის გამო, მას უკვე არ ჰქონდა უნარი, მიეღო შემოსავალი ხელფასის სახით.

---

[93] უზენაესი სასამართლოს განჩინება №ას-738-690-2017

[94] საქართველოს კანონი საქართველოს სამოქალაქო კოდექსი 1008-ე მუხლი

დაზარალებულის გარდაცვალების შემთხვევაში ზიანის მიმყენებელმა სარჩოს დაწესებით უნდა აუნაზღაუროს ზიანი იმ პირებს, რომელთა რჩენაც დაზარალებულს ევალებოდა. ეს ვალდებულება ძალაშია, ვიდრე დაზარალებული ვალდებული იქნებოდა ეხადა სარჩო. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, მნიშვნელოვანია მართებულად შეფასდეს, თუ როდემდე იქნებოდა ვალდებული მარჩენალი ერჩინა მის კმაყოფაზე მყოფი პირები.[95]ტექნიკური პროგრესი მნიშვნელოვანია ქვეყნის განვითარებისთვის და წინსვლისთვის, თუმცა მას აქვს თანმდევი უარყოფითი შედეგი,რაც გამოიხატება საფრთხეში, რომელიც ექმნება ადამიანის სიცოცხლეს და ჯანმრთელობას.

თუ სხეულის დაზიანებით ან ჯანმრთელობისათვის ვნების მიყენების შედეგად დაზარალებულს წაერთვა შრომის უნარი ან შეუმცირდა იგი, ანდა იზრდება მისი მოთხოვნილებები, დაზარალებულს უნდა აუნაზღაურდეს ზიანი ყოველთვიური სარჩოს გადახდით. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, მნიშვნელოვანია მართებულად შეფასდეს, თუ როდემდე იქნებოდა ვალდებული ზიანის მიმყენებელი გადაეხადა კომპენსაცია დაზარალებულისათვის. [96]

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი ითვალისწინებს პასუხისმგებლობას შრომის დაცვის წესის დარღვევისთვის. უსაფრთხოების ტექნიკის ან შრომის დაცვის სხვა წესის დარღვევას, რაც იწყვევს ადამიანის ჯანმრთელობის დაზიანებას ან სიკვდილს. სასჯელი იწყება ჯარიმით ან გამასწორებელი სამუშაოთი ვადით ერთ წლამდე და მაქსიმუმი სასჯელი არის თავისუფლების აღკვეთა ვადით ოთხიდან შვიდ წლამდე, თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევით ვადით სამ წლამდე. [97]

აღნიშნული დანაშაულის გამოიხატება უსაფრთხოების ტექნიკის ან შრომის დაცვის სხვა წესების დარღვევაში ,როგორებიცაა მაგ: საწარმოო ჰიგიენა და სანიტარია. უსაფრთხოების ტექნიკის წესის დარღვევა შეიძლება მოქმედებითაც და უმოქმედობითაც. დანაშაული ხასიათდება გაუფრთხილებელი ბრალით. დამნაშავე ითვალისწინებს აღნიშნული წესების დარღვევას და შესაძლო შედეგებს, თუმცა უსაფუძვლოდ იმედოვნებს შედეგის თავიდან აცილებას.[98]

ასევე მნიშვნელოვანია სასამართლო პრაქტიკა იმ შემთხვევებზე, როდესაც დასაქმებულის სიცოცხლის მოსპობა ხდება. სამოქალაქო კოდექსის 1006-ე მუხლზე, რომლის პირველი ნაწილის შესაბამისად, დაზარალებულის გარდაცვალების

---

[95] უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება, საქმე №ას-789-746-2015
[96] უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება, საქმის №: ას-1039-2018
[97] საქართველოს კანონი საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი 170
[98] სისხლის სამართლის კერძო ნაწილი წიგნი 1. მეხუტე გამოცემა. მერიდიანი 2014 გვ370-72

შემთხვევაში ზიანის მიმყენებელმა სარჩოს დაწესებით უნდა აუნაზღაუროს ზიანი იმ პირს, რომელთა რჩენაც დაზარალებულს ევალებოდა. სარჩოს ანაზღაურების მავლადებულებელი გარემოების დადგომა პირს და მის რჩენაზე მყოფ პირებს ართმევს შესაძლებლობას, ჰქონდეს სამუშაო და იღებდეს შესაბამის ანაზღაურებას. ამასთან, სარჩოს მიღების უფლება წარმოადგენს პირის შესაძლებლობას, აუნაზღაურდეს ზიანი, რაც მიიღო საწარმოო ტრავმის გამო მარჩენალის დაკარგვით. სარჩოს მიღებით ხდება პირისათვის შემოსავლის მიღების უზრუნველყოფა საწარმოო ტრავმის არარსებობის პირობებში შესაძლო შრომის ანაზღაურების შესაბამისად. თავად ის გარემოება, რომ საწარმოო ტრავმის მიღების გამო მარჩენალის გარდაცვალებით მოსარჩელემ დაკარგა შესაბამისი ანაზღაურების მიღების შესაძლებლობა, თავის მხრივ, წარმოშობს საფუძვლიან და კანონიერ ვარაუდს იმასთან დაკავშირებით, რომ საწარმოო ტრავმის მიუღებლობის შემთხვევაში, მუშაკი (მარჩენალი) განაგრძობდა მუშაობას. საწარმოს ბრალით, მიღებული ტრავმის შედეგად, გარდაიცვალა მარჩენალი. ზიანის ანაზღაურების მავალდებულებელი გარემოება რომ არ დამდგარიყო, პრეზუმირებულია, რომ იგი იმუშავებდა საპენსიო ასაკამდე.[99]

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი ასევე ითვალისწინებს პასუხისმგებლობას სამუშაო წარმოებისას უსაფრთხოების წესების დარღვევის გამო. კერძოდ სს კოდექსის 240-ე მუხლი, რომელიც ითვალისწინებს უსაფრთხოების წესების დარღვევას სამშენებლო წარმოებისას, რამაც გამოიწვია ჯანმრთელობის ნაკლებად მძიმე ან მძიმე დაზიანება და იგივე ქმედება, რასაც მოჰყვა ადამიანის სიცოცხლის მოსპობა. რაც შეეხება სასჯელს, პირველ შემთხვევაში ისჯება ჯარიმით ან გამასწორებელი სამუშაოთი ვადით ორ წლამდე ანდა თავისუფლების აღკვეთით ვადით ორ წლამდე, თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევით ვადით სამ წლამდე ან უამისოდ. ხოლო სიცოცხლის მოსპობის შემთხვევაში ისჯება შინაპატიმრობით ვადით ექვსი თვიდან ორ წლამდე ანდა თავისუფლების აღკვეთით ვადით ორიდან ხუთ წლამდე, თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევით ვადით სამ წლამდე ან უამისოდ.[100]

აღნიშნული ქმედებაც გამოხატულია გაუფრთხილებლობაში, როგორც თვითიმედოვნება, ასევე დაუდევრობა. სამშენებლო სამუშაოში იგულისხმება როგორც შენობა-ნაგებობათა აღმართვა, ასევე მათი რემონტი, რეკონსტრუქცია, სამშენებლო მექანიზმების და სპეციალური ტექნოლოგიების ექსპლოატაციაც. დამნაშავე შეიძლება იყოს, როგორც სამშენებლო სამუშაოთა მწარმოებელი, ასევე გარეშე პირიც. ნებისმიერი, ვინც თავისი თანამდებობით ან პროფესიული ფუნქციით

---

[99] უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება,საქმის №: ას-1166-1121-2016

[100] საქართველოს კანონი საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი 240

ვალდებუია დაიცვას უსაფრთხოების წესები. შრომის დაცვის ზოგადი წესების დარღვევის კვალიფიკაცია ხდება 170-ე მუხლით, ხოლო სპეციალური წესების დარღვევა 240-ე მუხლით.[101]

საქარღველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ მოწოდებული საჯარო ინფორმაციის და სტატისტიკის მიხედვით 2018 წლის მდგომარეობით, სამუშაო წარმოებისას დაშავდა 199 - პირი, ხოლო გარდაცვალა 59 - პირი.

საინფორმაციო-ანალიტიკურ დეპარტამენტში კომპილირებული ცალკეული სტატისტიკური მონაცემები:[102]

1. რეგისტრირებული დანაშაული:

პერიოდი	**2017**	**2018**	**2019**
სამუშაოს წარმოებისას უსაფრთხოების წესის დარღვევა (მ. 240-245)	რეგისტრირებული 163/გახხსნილი 24	რეგისტრირებული 248/გახსნილი 24	რეგისტრირებული150/გახსნილი 1

2. გამოძიების დაწყების მაჩვენებელი:

პერიოდი	**2017წ**	**2018წ**	**2019წ (3თვე)**
,,სამთო, სამშენებლო ან სხვა სამუშაოს წარმოებისას უსაფრთხოების წესის დარღვევა " სსკ 240 მ.	158	264	65
„შრომის დაცვის წესის დარღვევა“სსკ 170 მ.	35	39	

[101] სისხლის სამართლის კერძო ნაწილი წიგნი 1. მეხუტე გამოცემა. მერიდიანი 2014 გვ682-85

[102] საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს წერილი MIA 2 19 01353762 და MIA 9 19 01359646

ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა დასაშვებია ასევე მორალური ზიანის მიყენების დროს. თუმცა მტკიცება ასეთი შემთვხვევების დროს შედარებით რთულია.

სამართლის მიერ დაცულ ერთ-ერთ სიკეთეს, რომლის ხელყოფის შედეგად დაზარალებულმა შეიძლება მოითხოვოს არაქონებრივი (მორალური) ზიანის ანაზღაურება, წარმოადგენს ადამიანის ჯანმრთელობა. სხეულის დაზიანება ან ჯანმრთელობისათვის ვნების მიყენება, ადამიანის სხეულისა და ჯანმრთელობის იმგვარი ხელყოფაა, რომელიც დაზარალებულს არასრულფასოვნად და ზოგ შემთხვევაში, არაშრომისუნარიანად აქცევს. სხეულის და/ან ჯანმრთელობის ხელყოფით გამოწვეული მორალური ზიანი უშუალოდ სამართალდარღვევიდან შეიძლება არც გამომდინარეობდეს, არამედ მისი თანმდევი შედეგი იყოს (როგორიცაა უშედეგო მკურნალობა, ხანგრძლივი უმწეო მდგომარეობა, აქტიური ცხოვრების შეუძლებლობა, ცხოვრების წესისა და რითმის შეცვლა, მკურნალობის უშედეგობის გამო ცხოვრების ხალისის დაქვეითება, ნერვული დაძაბულობა, რაც პირს არასრულფასოვნების კომპლექსსა თუ სხვა ნეგატიურ განცდებს უყალიბებს), თუმცა, ასეთ დროს სავალდებულოა დასტურდებოდეს, რომ დაზარალებულის მორალური განცდები და სულიერი ტანჯვა სხეულისა თუ ჯანმრთელობის ხელყოფის შედეგია.[103]

ადამიანის ჯანმრთელობის დაზიანებით მიღებული არასასურველი შედეგი ნეგატიურ ცვლილებებს იწვევს ადამიანის ორგანიზმში, რამაც ქონებრივ დანახარჯებთან ერთად შეიძლება არამატერიალური უფლებების ხელყოფა – ფსიქიკური ტანჯვა (მორალური ზიანი) გამოიწვიოს. ადამიანის ფსიქიკაში ნეგატიური ცვლილებების არსებობას, რაც გამოიხატება ფიზიკურ და სულიერ ტანჯვაში, გარეგნული გამოხატულება არ გააჩნია და, შესაბამისად, არამატერიალიზებული ზიანია. არამატერიალურ ფასეულობათა ხელყოფა კი ზიანის ანაზღაურების ვალდებულებას იწვევს.[104]

ზიანის ანაზრაურების მოთხოვნის დროს მნიშვნელოვანია ბრალის საკითხი. იმ შემთხვევაში თუ ზიანი გამოწვეულია დასაქმებულის მოქემდებითაც, ასეთ შემთხვევაში სახეზეა შერეული ბრალი. სასამართლო პრაქტიკაში არის მსგავსი შემთხვევებიც. მაგ: გერმანულ კომპანიასა და დასაქმებულს შორის დავა. სადაც გაირკვა,რომ ორგანიზაციაში ინსტრუქტაჟი, გარდა, საქართველოს კანონმდებლობისა, იგზავნება გერმანიიდან და თვეში ერთხელ, უტარდებათ ორგანიზაციის თანამშრომლებს და მუშა-მოსამსახურეებს. თანამშრომლებმა გარკვევით იციან, რომ მოძრავ დეტალზე ხელის ან ფეხის შეხება აკრძალულია. ორგანიზაცია ასრულებს მხოლოდ საძირკველის ჩასხმის სამუშაოებს, იქ არ არის მრავალფეროვანი სამუშაო, მხოლოდ საძირკველის ჩასხმა ხდება და ეს საქმიანობა

---

[103] იხ. სუსგ საქმე №ას-979-940-2014, 10 სექტემბერი, 2015 წელი

[104]იხ. სუსგ საქმე №ას-756-717-2013,10 იანვარი, 2014 წელი

უცხო არ იყო დასაქმებულისათვის, ის ამ საქმიანობაში მონაწილეობას იღებდა შემთხვევამდე ერთი წლის განმავლობაში. ინციდენტის გამოძიებიდან დადგენილი იქნა, რომ დასაქმებულ პირს, რომელსაც მიადგა ზიანი შემთხვევის დროს ფეხი არასწორად ედგა აკრძალულ ადგილას, მოძრავ დეტალზე. თუმცა, თავის მხრივ, ოპერატორსაც ეკრძალებოდა რაიმე სახის მოქმედების გაგრძელება, ვიდრე, არ დარწმუნდებოდა, რომ მუშა - მოსამსახურე იდგა უსაფრთხო ადგილას. სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ დამგდარ შედეგში ბრალი მიუძღვოდა ორივე მხარეს. შესაბამისად მოპასუხე მხარეს დააკისრა მიყენებული ზიანის განახევრებული რაოდენობით ანაზღაურება. საკასაციო სასამართლომ აღნიშნული გადაწყვეტილება განუხილველი დატოვა.[105]

შრომის უსაფრთხოების შესახებ საქართველოს ორგანული კანონის მიხედვით გამოიყენება შემდეგი ადმინისტრაციული სახდელები: ა) გაფრთხილება ბ) ჯარიმა გ) სამუშაო პროცესის შეჩერება. ზედამხედველობის ორგანო დარრვევის ხასიატიდან გამომდინარე აძლევს შესაძლებლობას დამსაქმებელს გამოასწოროს ხარვეზი. თუ არ მოხდება ხარვეზის გამოსწორება ზესამხედველობის სამსახური იყენებს სანქციის ფორმას, კერძოდ ჯარიმას, რომლის გადაუხდელობის შემტხვევაში გათვალისწინებულია საურავი ჯარიმის ორმაგი ოდენობით, ხოლო საურავის დაკისრებიდან 30 დღის ვადაში ჯარიმის ან/და საურავის გადაუხდელობის შემთხვევაში განხორციელდება იძულებითი აღსრულება. რაც შეეხება სამუშაო პროცესის შეჩერებას ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმს ადგენს ზედამხედველი ორგანო, ზედამხედველი ორგანოს გადაწყვეტილებას ამტკიცებს სასამართლო. სამუშაო პროცესის შეჩერების შესახებ გადაწყვეტილება მოქმედებს შესაბამისი დარღვევის გამოსწორებამდე და ზედამხედველი ორგანოს მიერ სამუშაო პროცესის აღდგენის შესახებ გადაწყვეტილების მიღებამდე. კანონი ასევე განსაზღვრავს ჯარიმების რაოდენობას შრომის უსაფრთხოების ნორმების დარღვევისთვის, რაც იწყება 100 ლარიდან.[106]

---

[105] უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება,საქმის №: ას-300-284-2017

[106] შრომის უსაფრთხოების შესახებ საქართველოს ორგანული კანონის 17-23 მუხლები.

5. დასკვნა

საქართველო, შიდა სახელმწიფოებრივი განვითარების თვალსაზრისით, მრავალი გამოწვევის წინაშე დგას. მათ შორის ყველაზე მნიშვნელოვანი დასაქმების და შრომის საკითხებია. კვლევისას გამოიკვეთა პრობლემები, რომლებიც დაკავშირებულია არა მხოლოდ სამართლებრივ მოწესრიგებასთან კონკრეტული საკითხების, არამედ ქვეყნის ეკონომიკურ მდგომარეობასთან. როდესაც განვიხილავთ დასაქმებულთა ორგანიზებულ წინააღმდეგობებს სამუშაო ადგილებზე, უნდა გავითვალისწინოთ ქართული შრომის ბაზრის და შრომის პირობების თავისებურებები. ქვეყანაში არსებული უმუშევრობის მაღალი დონე წინააღმდეგობრივი გარემოებაა დასაქმებულთა კოლექტიური პროტესტისთვის სამუშაო პირობების გაუმჯობესების მიზნით. მაქსიმალურად უნდა მოხდეს ბალანსის დაცვა დასაქმებულთა და დამსაქმებელთა ინტერესებს შორის.

მიუხედავად იმისა, რომ საქართველო აქტიურად ცდილობს, საერთაშორისო ინსტიტუტებთან დაახლოებას და ამ მხრივ გარკვეულ საკონონმდებლო და სტრუქტურულ ცვლილებებს ახორციელებს, შრომის პოლიტიკა ჩვენს უმთავრეს გამოწვევად მაინც რჩება. ამაზე კი მეტყველებს სამუშაო ადგილებზე დაშავებულთა და დაღუპულთა ძალიან მაღალი მაჩვენებელი. ამ პრობლემების შემცირების ერთ-ერთი გზაა დასაქმებული პირების ჯანმრთელობის დაზღვევის ინსტიტუტის დანერგვა და განვითარება ისე, როგორც ეს არის კანადასა და ამერიკის შეერთებულ შტატებში.

მთავარი პრობლემა, რაც ასეთი მაღალი რაოდენობით მშენებლობებზე დასაქმებული პირების ჯანმრთელობის დაზიანებას და სიცოცხლის მოსპობას იწვევს არის საზოგადოების ინფორმირებულობის დაბალი დონე. სამშენებლო სექტორში დასაქმებულთა უმეტესობამ არ იცის თავისი უფლებები შრომის თავისუფლების, შრომის უსაფრთხოების საკითხებთან დაკავშირებით. შესაბამისად მათი მხრიდან მოთხოვნები და პრეტენზიები დამსაქმებელთა მიმართ ხშირ შემთხვევებში საკმაოდ

არა ადეკვატურია. ასევე ქვეყნის სოციალური და ეკონომიკური მდგომარეობაც განაპირობებს იმ ფაქტს, რომ დარღვევების და უსაფრთხო შრომის უფლებების შეზღუდვის დროს დასაქმებული პირები, უმუშევრად დარჩენის შიშით, არ ახდენენ სათანადო რეაგირებას. სათანადო რეაქციის არ ქონას კი შესაძლებელია მომავალში მოჰყვეს მათი ჯანმრთელობის სერიოზული დაზიანება ან ფატალური შედეგი.

ინფორმირებულობის დაბალი დონის დამადასტურებელი სასამართლო პრაქტიკაც. ნაშრომში წარმოდგენილი სტატისტიკა სამშენებლო სექტორში დასაქმებულთა ჯანმრთელობის დაზიანების შესახებ ბევრად აღემატება სასამართლო დავებს ამ საკითხებზე. ამის მიზეზი, სწორედ დასაქმებულთა მიერ თავიანთი უფლებების არცოდნაა.

ერთ-ერთი მთავარი პრობლემა არის ასევე ის, რომ არ ხდება რეალურად დასაქმებული პირების გადამზადება. ინსტრუქტაჟი იმის თაობაზე, თუ როგორ უნდა გამოიყენონ საჭირო ტექნიკა, აღჭურვილობა და სპეციალური დამცავი საშუალებები. ხშირ შემთხვევებში დამცავი საშუალებების გამოყენება საერთოდ არც ხდება. ასევე ხშირია შემთხვევები, როდესაც დამსაქმებელი არ უზრუნველყოფს უსაფრთხოების წესების დასაცავად საჭირო აღჭურვილობებით დასაქმებულებს. ამის მთავარი მიზეზი კი არის დამსაქმებლის სურვილი ნაკლები დანახარჯებით მიიღონ მეტი შემოსავალი. ასეთი ადამიანები ცდილობენ გააკეთონ ეკონომია იმაზე, რისი დაცვაც ყველაზე მნიშვნელოვანია.

უმთავრესი პრობლემა არის სანქციები. მიუხედავად იმისა, რომ საქართველომ გაიარა საკმაოდ დიდი გზა, დაიხვეწა კანონმდებლობა სამშენებლო სამართალში და შრომის უსაფრთხოების საკითხებიც დღესდღეობით უკეთ არის მოწესრიგებული, ეს არ არის საკამრისი, რადგან სამშენებლო სექტორში „ძლიერ მხარეს“ ანუ დამსაქმებლებს არ აქვთ შიში სამართლებრივი რეგულაციების. სანქციები არის ბევრად დაბალი ოდენობის, ვიდრე ის ხარჯები, რაც დამსაქმებლებმა უნდა გასწიონ იმისათვის, რომ რეალურად მოახერხონ შრომის უსაფრთხოების წესების დაცვა.

შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის რეკომენდაციით და მათი დახმარებით დაიწყო სპეციალური ტრენინგების ჩატარება ცნობიერების ამაღლების მიზნით, როგორც სამშენებლო სექტორში მომუშავე პირებისთვის, ასევე იმ პირებისთვის, რომლებიც ახორციელებენ ინსპექტირებას. აუცილებელია დასაქმებულ პირებს ჰქონდეთ მინიმალური ცოდნა მაინც შრომის უსაფრთხოების წესების დაცვის, პირველადი დახმარების და თავიანთი უფლებების შესახებ.

ასევე აუცილებელია გამკაცრდეს მაქსიმალურად, მათ შორის სისხლისსამართლებრივი, პასუხისმგებლობა იმ პირების მიმართ, რომლებიც

არღვევენ შრომის უსაფრთხოების წესებს. სხვა შემთხვევაში აზრს დაკარგავს ყველანაირი რეგულაცია შრომის უსაფრთხოების შესახებ.

წარმოდგენილი კვლევა, პრაქტიკის ანალიზი და სტატისტიკური მონაცემები ცხადყოფს, რომ საჭიროა ამ პრობლემის მოგვარებაზე მუშაობა, განვითარებული ქვეყნების მაგალითების გამოყენება, ანონმდებლობის დახვეწა და რაც მთავარია კონტროლის მექანიზმების დახვეწა. წინააღმდეგ შემთხვევაში ისინი ყოველთვის „სუსტ მხარეებად“ დარჩებიან.

ბიბლიოგრაფია

გამოყენებული ლიტერატურა

1. ეკატერინე ქარდავა.დასაქმებულთა უფლებები.საქართველოს სტრატეგიული განვითარებისა და კვლევების ცენტრი. 2018
2. ადმინისტრაციული სამართლის პრობლემები. დავით ბატონიშვილის სამართლის ინსტიტუტი. 2013
3. საქართველოს შრომის სამართალი და საერთაშორისო შრომის სტანდარტები. შრომის საერთაშორისო ორგანიზაცია. 2017
4. საქართველოს შრომის სამართალი და საერთაშორისო შრომის სტანდარტები, 2017
5. საქართველოს შრომის კოდექსის კომენტარი. ანდრეა ბორონი. მერიდიანი. 2016
6. შრომითი უფლებების დაცვა, როგორც ევროპული ინტეგრაციის პოლიტიკის ნაწილი განვითარების პერსპექტივები ასოცირების შეთანხმების, ვიზის ლიბერალიზაციის სამოქმედო გეგმისა და სოციალური ქარტიის ფარგლებში.ნათელა დვალი. 2016
7. საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს შრომის პირობების ინსპექტირების დეპარტამენტის 2015 -2017 წლების საქმიანობის შემაჯამებელი დოკუმენტი
8. სამართლის ჟურნალი N2 2009 ბ, თსუ რედ. ბესარიონ ზოიძე.
9. ევროპის სამეზობლო პოლიტიკა, სამოქმედო გეგმა - ევროკავშირი საქართველო
10. ვუახლოვდებით ევროპას?: ეკონომიკური და სოციალური პოლიტიკა საქართველოში, სომხეთსა და აზერბაიჯანში. რედაქტორი: ეკატერინე ჯორბენაძე; ეკონომიკის პრობლემების კვლევის ცენტრი. ფრიდრიხ ებერტის ფონდი. 2010

11. ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტოს საქმიანობის შესახებ წლიური ანგარიში 2017
12. ფრიდრიხ ებერტის ფონდი. შრომის დაცვა საქართველოში 2013
13. შრომის სამართალი (სტატიათა კრებული) 2011 მერიდიანი
14. საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის,
15. ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს წერილი N1/9074 21 / მაისი / 2019 წ
16. საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტრო წერილი N 01/9074 21.05.2019
17. სისხლის სამართლის კერძო ნაწილი წიგნი 1. მეხუტე გამოცემა. მერიდიანი 2014
18. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს წერილები: MIA 2 19 01353762 და MIA 9 19 01359646
19. ქ.თბილისის მერიის მუნიციპალური ინსპექციის წერილი N17-01191362159
20. Labour inspection international labour organization
21. The Europanisation of occupational health services: A study of the impact of EU policies 120-130 2008
22. Безопасность труда на строительной площадке Редактор: Эвелин Кивимаа 2014
23. Энциклопедия по охране и безопасности труда», 4-е издание, Женева, МОТ, 1998
24. БЕЗОПАСНОСТЬ, ОХРАНА ЗДОРОВЬЯ И УСЛОВИЯ ТРУДА Швеции

ნორმატიული მასალა

1. საქართველოს კონსტიტუცია
2. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სამართლებრივი აქტების კრებული, თბილისი, „ივერთა მხარე“, 1990, საქართველოს დამფუძნებელი კრების მიერ 1921 წლის 21 თებერვალს მიღებული საქართველოს კონსტიტუცია
3. შრომის უსაფრთხოების შესახებ საქართველოს ორგანული კანონი
4. საქართველოს ორგანული კანონი საქართველოს შრომის კოდექსი
5. საქართველოს ორგანული კანონი შრომის უსაფრთხოების შესახებ
6. საქართველოს ორგანული კანონი ნორმატიული აქტების შესახებ
7. საქართველოს სამოქალაქო კოდექსი
8. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი

9. საქართველოს კანონი პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი
10. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სამართლებრივი აქტების კრებული, თბილისი, „ივერთა მხარე“, 1990, საქართველოს დამფუძნებელი კრების და რესპუბლიკის მთავრობის 1920 წლის 14 აგვისტოს კანონი „შრომის ხელშეკრულების შესახებ“
11. საქართველოს მთავრობის დადგენილება №477 2017 წლის 27 ოქტომბერი ქ. თბილისი სიმაღლეზე მუშაობის უსაფრთხოების მოთხოვნების შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე
12. საქართველოს მთავრობის დადგენილება №361 2014 წლის 27 მაისი ქ. თბილისი მშენებლობის უსაფრთხოების შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე
13. საქართველოს მთავრობის დადგენილება №258 2013 წლის 7 ოქტომბერი ქ. თბილისი სოციალური პარტნიორობის სამმხრივი კომისიის დებულების დამტკიცების შესახებ
14. საქართველოს მთავრობის 2015 წლის 5 თებერვლის №38 დადგენილება
15. საქართველოს მთავრობის დადგენილება №19 2016 წლის 18 იანვარი ქ. თბილისი შრომის პირობების ინსპექტირების 2016 წლის სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ
16. საქართველოს მთავრობის დადგენილება №627 2016 წლის 29 დეკემბერი ქ. თბილისი შრომის პირობების ინსპექტირების 2017 წლის სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ
17. საქართველოს მთავრობის დადგენილება №249 2005 წლის 31 დეკემბერი ქ. თბილისი
18. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის ბრძანება №1-1/1527 2012 წლის 23 ივლისი ქ. თბილისი საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტოს დებულებაში ცვლილებები შეტანის თაობაზე საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის ბრძანება №1-1/584 2017 წლის 29 დეკემბერი
19. საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ბრძანება №01-10/ნ 2015 წლის 21 აპრილი ქ. თბილისი ,,საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სტრუქტურული ქვედანაყოფების დებულებების დამტკიცების შესახებ” საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2015 წლის 6 იანვრის №01-1/ნ ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ
20. საქართველოს მთავრობის დადგენილება №473 2018 წლის 14 სექტემბერი ქ. თბილისი საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა,

შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ
21. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილება №28-94 2018 წლის 25 სექტემბერი ქ. თბილისი ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ინსპექციის დებულების დამტკიცების შესახებ
22. Council Directive 89/391/EEC of 12 June 1989 on the introduction of measures to encourage improvements in the safety and health of workers at work. SECTION II EMPLOYERS' OBLIGATIONS
23. Council Directive 89/391/EEC of 12 June 1989 on the introduction of measures to encourage improvements in the safety and health of workers at work. Article 13
24. Occupational Health and Safety (Commonwealth Employment) Act 1991 Section 16
25. The EU "Framework Directive" 89/391/EEC of 12 June 1989 on the introduction of measures to encourage improvements in the safety and health of workers at work, Article 13

გამოყენებული გადაწყვეტილებები

1. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2010 წლის 28 აპრილის განჩინება საქმეზე Nას-864-1150-09
2. უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება, საქმე №ას-789-746-2015
3. უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება, საქმე №ას-979-940-2014
4. უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება, საქმე №ას-756-717-2013
5. უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება, საქმე №ას-1295-1215-2017
6. უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება, საქმე №ას--40-37-2015
7. უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება, საქმის №: ას-1039-2018
8. უზენაესი სასამართლოს განჩინება №ას-738-690-2017
9. უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება,საქმის №: ას-1166-1121-2016
10. 9. უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება,საქმის №: ას-300-284-2017

ელექტრონული რესურსი

1. www.supremecourt.ge
2. www.matsne.gov.ge
3. http://library.court.ge/login.php?geo
4. www.tacsa.gov.ge
5. www.tbilisi.gov.ge
6. www.moh.gov.ge

7. www.economy.ge